# ლელო

№163 (12 233)

13 ივლისი პარასკევი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხათუნა ნარიმანიძე

## არის პეკინის ორი ლიცენზია

### ხათუნა ნარიმანიძისა და ქრისტინე ესებუასგან

ირაკლი თავაძე

ლაიპციგში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატმა საქართველოს ოლიმპიურ გუნდს კიდევ ორი ნევრი შემატა - ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა - ორივემ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები მოიპოვა. ამასთან, ნარიმანიძე პირად პირველობაში მეხუთე ადგილზე გავიდა, რაც ძალზე დიდი ნარმატებაა. ესებუა 30-ე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ლიცენზია მხოლოდ ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძემ მოიპოვა. იმის მიუხედავად, რომ ლაიპციგში უმედლოდ დავრჩით, ეს ჩემპიონატი ჩვენთვის მაინც ნარმატებულია. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ მესამე ლიცენზია ვერ მოვიპოვეთ, რაც ოლიმპიადაზე გუნდურში გამოსვლის ნებას მოგვცემდა. მაგრამ გერმანიაში ამისი ნაკლებად გვეიმედებოდა. უბრალოდ, გამართლების შემთხვევაში ესეც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი იმედები მაინც საგაისო სეზონს უკავშირდებოდა და ახლა - მით უმეტეს.

მე-9 გვერდზე

# კენ შილდსი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია

## გორდონ ჰერბერტი მის თანაშემწედ რჩება

გუშინ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა მოულოდნელი ინფორმაცია მოგვაწოდა. საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კანადელმა თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა თანამდებობა დატოვა. იგი შეცვალა მისმა თანამემამულემ და ყოფილმა ასისტენტმა კენ შილდსმა.

ბუნებრივია, გულშემატკივარს დააინტერესებს, თუ რატომ შეეცვალა ნაკრებს თავკაცი იმ დროს, როცა ოფიციალურ მატჩებამდე მხოლოდ თვენახევარია დარჩენილი. საქმე ის არის, რომ ახლახან, ჰერბერტი დაინიშნა ევროლიგის მონაწილე ბერძნული "არისის" მთავარ მწვრთნელად. მართალია, ბერძნებს კანადელისთვის ნება დაურთავთ, რომ შეთავსებით ემუშავა საქართველოს ნაკრებში, მაგრამ ამაზე ჩვენი კალათბურთის შეფები არ დაჰყაბულებულან. მათ გაიხსენეს შარშანდელი მწარე გამოცდილება, როდესაც ჰერბერტი ასევე ევროლიგოსან ფრანგულ "პო ორტეზში" გადავიდა, რის გამოც, ძირითადად, საკლუბო საქმეებზე გადართვა მოუხდა და ჩვენს გუნდს სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია.

მოკლედ, შექმნილ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, ერთდღიანი კონსულტაციების შემდეგ, ეროვნული ნაკრების თავკაცობა კენ შილდსს შესთავაზა და ამ უკანასკნელმაც თანხმობა განაცხადა. ასე რომ, წლევანდელ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში, საქართველოს ნაკრებს შილდსი დამოძღვრავს. მისი თანაშემწეები იქნებიან **კენი ატკინსონი** და **დავით უსტიაშვილი**. ამას გარდა, ნაკრებში რჩება გორდონ ჰერბერტიც, რომელიც ამჯერად შილდსის თანაშემწე იქნება.

**გუშინვე, სანაკრებო შტაბში მომხდარი ცვლილებების გამო, კომენტარი გააკეთა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა:**

- სამწუხაროდ, შარშანაც და წლევანდელ სიტუაციაში ...




საც ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ორივე შემთხვევაში, საკმაოდ ცოტა დრო გვქონდა გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც იცით, ჰერბერტს შარშანაც ჰქონდა გარკვეული პრობლემები და კენ შილდსის ვარიანტს მაშინაც განვიხილავდით. თუმცა იგი იაპონიაში იყო, დროულად ჩამოსვლას ვერ ახერხებდა და საბოლოოდ, მაინც ჰერბერტის დატოვება გადავწყვიტეთ. რაც შეეხება ახლანდელ მდგომარეობას, ჩვენ გავითვალისწინეთ შარშანდელი გამოცდილება და ერთადერთ სწორ გზად მივიჩნიეთ ნაკრების შილდსისთვის ჩაბარება. იგი საკმაოდ მაღალი დონის, გამოცდილი მწვრთნელია და ვიმედოვნებ, საკუთარ მისიას თავს წარმატებით გაართმევს.

**გუშინვე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, მოგვაწოდა ეროვნული ნაკრების იმ კალათბურთელთა სია, რომელიც 18 ივლისს, თბილისში გასამართ პირველ შეკრებაზე გამოიძახა გუნდის თავკაცობამ.**

**ზაზა ფაჩულია** ("ატლანტა", აშშ), **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** ("კახა სან ფერნანდო", ესპანეთი), **დავით უგრეხელიძე** ("აზოტი", საქართველო), **ვიქტორ სანიკიძე** ("ესტუდიანტესი", ესპანეთი), **გიორგი შერმადინი** ("მაკაბი", საქართველო), **ვახტანგ ნაცვლიშვილი** ("დიჟონი", საფრანგეთი), **ლაშა გამყრელიძე** ("აზოტი", საქართველო), **გიორგი ცინცაძე** ("ტარტუ როკი", ესტონეთი), **მანუჩარ მარკოიშვილი** ("ოლიმპია", სლოვენია), **გიორგი მარკოიშვილი** ("აზოტი", საქართველო), **ზვიად ბაბიაშვილი** ("ავიამშენი", საქართველო), **კოტე ტუღუში** ("აზოტი", საქართველო), **ბესიკ ლეჟავა** (თსუ, საქართველო), **ანატოლი ბოისა** ("აზოტი, საქართველო), **ვლადიმერ ბოისა** ("მონტეპასკი", იტალია), **ტაირონ ელისი** ("ნაპოლი", იტალია)

ვლადიმერ ბოისა და ტაირონ ელისი, გუნდს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდებიან. ელისმა ახლახან, ოჯახი შექმნა და 22 ივლისს, ქორწილი აქვს, ხოლო ბოისა ბავშვს ელოდება...

ვაჟა სიმონიშვილი

# შოთა არველაძე პრიმერა დივიზიონში ითამაშებს




## ლევანტეში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია, დარჩა შეთანხმება ალკმაართან

34 წლის შოთა არველაძე ესპანური პრიმერა დივიზიონის "ლევანტეს" გუშინ თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდა, სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და ახლა საქმე "ალკმაართან" უნდა მოაგვაროს.

გუშინ ვალენსიაში არველაძე, თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ და "ლევანტეს" ხელმძღვანელობა შეიკრიბნენ და დეტალებზე გამართეს მოლაპარაკება. ამის შემდეგ არველაძეს ვალენსიაში დავურეკეთ.

- მოლაპარაკება კი გაიმართა, მაგრამ ყველაფერზე ჯერ არა, თუმცა წინასწარ შეთანხმებას მივაღწიეთ.

**- კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

- ჩემი "ლევანტეში" გადასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არ არის. თანაც "ალკმაართან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს.

**- გუშინ ბაირამ თუთუმლუმ გვითხრა, თუ "ლევანტე" და არველაძე შეთანხმდებიან, შოთა თავისუფალ აგენტად გადავა ვალენსიურ კლუბში...**

- ხვალ ჰოლანდიაში ჩავალ და ამ საკითხზე დაველაპარაკები "ალკმაარის" ხელმძღვანელობას. ვფიქრობ, იქიდან უსასყიდლოდ გამომიშვებენ, ვნახოთ...

**- თუ ალკმაარელებს ყველაფერზე მოელაპარაკები, "ლევანტესთან" 1+1 სისტემის კონტრაქტს გააფორმებ?**

- შემოთავაზება ასეთია, მაგრამ ჯერ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ - "ალკმაარს" უნდა მოველაპარაკო.

**- "ლევანტე" "ალკმაარს" ალბათ იმიტომაც გირჩევნია, რომ უფრო ძლიერ ლიგაში თამაშობს...**

- რა თქმა უნდა, როცა არჩევანს აკეთებ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ლიგაში თამაშობს გუნდი.

**- "ალკმაარის" მწვრთნელ ლუის ვან გაალს უკვე ესაუბრე "ლევანტეში" გადასვლაზე?**

- ჯერ არა, ხვალ ალკმაარში რომ ჩავალ, მასაც დაველაპარაკები.

დავით თავართქილაძე

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული სტადიონი ფინალის კანდიდატია

## 2010 ან 2011: უეფას თასის ფინალი თბილისში?

როგორც გაცნობეთ, უეფას თასის ფინალის ჩატარება. თბილისში, **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნულ სტადიონზე სრულიად შესაძლებელია. ქვეყნის უმთავრესი არენის განაცხადი ფეხბურთის ფედერაციამ უეფაში უკვე წარადგინა 2010 და 2011 წლებში გასამართ უეფას თასის ფინალებისთვის. გუშინ ნიონში, უეფას შტაბბინაში საქმიანი შეხვედრა სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. შეხვედრაში ქართულ მხარეს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა**, ეროვნული სტადიონის დირექტორი **ირაკლი მეძმარიაშვილი** და თბილისის მერიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის თავკაცი **გიორგი შერვაშიძე** წარმოადგენდნენ.

შეხვედრის შემდეგ გენერალურ მდივანს დავუკავშირდით.

*"საკმაოდ საქმიანი შეხვედრა გაიმართა. მთელი რიგი რეკომენდაციები მოგვცეს. ეს დოკუმენტების მთელი დასტაა. საერთოდ კი, ამ პროექტში ფეხბურთის ფედერაციის, სტადიონის ხელმძღვანელობისა და დედაქალაქის მერიის გარდა, მთელი რიგი უწყებები ჩაერთვებიან...*

*მთელი რიგი ნორმებია, რომელთა დაკმაყოფილებაც მოგვიწევს. მაგალითად, უეფას თასის ფინალის მასპინძლობისთვის სამი მაღალი დონის სასტუმრო საკმარისი არაა. თუმცა თბილისში სასტუმროები კვლავაც შენდება და შვეიცარიაში ეს ვთქვით კიდეც...*

*ერთი სიტყვით, მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, ეს დოკუმენტები უეფას სექტემბერში უნდა წარვუდგინოთ. ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით, თბილისში უეფას კომისია ჩამოვა და ყველაფერს შეამოწმებს. ანალოგიური კომისიები ჩავა ყველა იმ ქალაქში, რომელმაც უეფას თასის ფინალის მასპინძლობის განაცხადი წარადგინა.*

*ამ ეტაპზე ვართ კანდიდატები. ახლა მთავარია, უეფას კომისიის სტუმრობის შემდეგ, მეორე ეტაპზეც დავრჩეთ კანდიდატებად. 2010 და 2011 წელს გასამართი უეფას თასის ფინალებისთვის უეფა საბოლოო გადაწყვეტილებას გაისად, 23 მარტს მიიღებს"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა უჩა უგულავამ.

დაბოლოს, რაც შეეხება სხვა სტადიონებს. ეროვნული სტადიონს ერთობ სოლიდური კონკურენტები ჰყავს. მათი ჩამონათვალი ასეთია:

ბუქარესტი, გელზენკირხენი, კოპენჰაგენი, მადრიდი (ვისენტე კალდერონი), თელ-ავივი, დუბლინი, ჰამბურგი, ლისაბონი, ლონდონი (ჰაიბერი), ბარსელონა (ოლიმპიური)... ვნახოთ, რას გადაწყვეტს უეფა.

**დავით ცაბაძე**



სამზადისი. რეპორტაჟი დილმის საწვრთნელი ბაზიდან

# დუშან უჰრინი: ვადუცთან კლასი და ფსიქოლოგია გვჭირდება

გერმანული მოსამზადებელი შეკრებიდან სამშობლოში დაბრუნებულმა თბილისის "დინამომ" დილმის ბაზაზე გუშინ განაახლა ვარჯიში. დუშან უჰრინმა გუშინ ჩვეულებისამებრ ავარჯიშა შეგირდები. ინტენსიური ვარჯიში საათზე მეტხანს გაგრძელდა, ფეხბურთელებს აშკარად ეტყობოდათ მონდომება. წვრთნის ბოლოს ორკარა გაჩაღდა. თამაშისას დუშან უჰრინი და კახა კაჭარავა ფეხბურთელებს მითითებებს აძლევდნენ და მოთამაშეებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ მწვრთნელების დავალებათა შესრულებას. ვარჯიშში ახალი ფეხბურთელებიდან ჯორჯ აკირემი და რაიმონ ვუკუე მონაწილეობდნენ. წვრთნას თითმოტეხილი გრიშიკაშვილიც ადევნებდა თვალს...

საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ ფეხბურთელები გერმანული შეკრების თაობაზე. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, მოთამაშეებს სწორედ ამ საკითხზე გავესაუბრეთ. პირველად გუნდის კაპიტან დავით დიღმელაშვილს მივმართეთ.

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩინებული პირობები გვქონდა კარგი მზადებისა და დასვენებისთვის. რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. გამოცდილება გავიმდიდრეთ და უფრო მეტადაც შევთამაშდით. რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაგვემატა და მათაც გაიარეს ადაპტაცია. ვფიქრობ, მოკლე ხანში "დინამო" უკეთესი გუნდი იქნება.

**- ახალ ფეხბურთელებზე რისი თქმა შეგიძლია?**

- კარგი მოთამაშეები არიან. გერმანულ შეკრებაზე ისინი კარგად წარმოჩნდნენ და გუნდთან შეწყობაზეც არ ექნებათ პრობლემები.

კაპიტნის შემდეგ ნახევარმცველმა **დავით ოდიკაძემ** შემდეგი გვითხრა.

*"გერმანულ შეკრებას ერთმნიშვნელოვნად დადებითად შევაფასებდი. ეს სამზადისი ნაყოფიერად გამოვიყენეთ და გუნდს ეს აშკარად ეტყობა".*

ახალწვეული **ოლეგ გველესიანის** აზრითაც დავინტერესდით:

*"უცხოური შეკრების მეხუთე დღეს ტრავმა მივიღე, მაგრამ სერიოზული არაფერია. ინდივიდუალურად უკვე ვვარჯიშობ, 4-5 დღეში გუნდთან ერთად წვრთნასაც შევუდგები. კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი უკვე გავაფორმე და ადაპტაციაც არ მიჭირს".*

*"განვლილი შეკრებით კმაყოფილი ვარ. კარგად მოვემზადეთ და ვფიქრობ, "ვადუცთან" საბრძოლველად მზად ვართ... "კარლ ცაისთან" მატჩი? მართალია, ამხანაგური თამაში იყო, მაგრამ ამ გუნდთან "დინამოს" დღემდე არ წაუგია თამაში და მხოლოდ მოსაგებად გავედით მოედანზე. აშკარად ჩანდა, იენელებიც მხოლოდ გამარჯვებაზე იყვნენ აქცენტირებულნი. ასე რომ, ამ მატჩს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა და ბედნიერი ვარ, რომ ეს შეხვედრა მოვიგეთ. ამ მატჩის ერთადერთი გოლის ავტორობა მე მერგო და ორმაგად გახარებული დავრჩი... აკირემის პასი? აკირემიმ მართლაც ჩინებული პასი მომცა. ერთი შეხებით, ორ მცველს შორის გააძვრინა ბურთი, მეც გარჯა დავუფასე და შევაგდე.*

*ახალი მოთამაშეები? კი, ახალი ფეხბურთელებიც გაგვაძლიერებენ და ვფიქრობ ახლა უკეთესი გუნდი გვყავს"*, - გვითხრა **გიორგი მერებაშვილმა**.

ფეხბურთელების შემდეგ კი გუნდის მთავარ მწვრთნელ **დუშან უჰრინს** რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- 14 დღის განმავლობაში, ჩინებული მოსამზადებელი შეკრება გავიარეთ, ფეხბურთელები რამდენიმე ამხანაგურ მატჩში გამოვცადე. ამ ტესტმატჩებიდან სამი შედარებით სუსტ გუნდთან გვქონდა, ამდენივე უფრო ძლიერ მოწინაალმდეგესთან. ამ შეხვედრებში რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი მოვსინჯეთ. ვფიქრობ, ახალი სეზონისა და ევროტურნირებისთვის მოსამზადებლად ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენეთ.

**- გერმანიაში ოთხი მატჩი მოიგეთ და ორში დამარცხდით. ფრე არ გითამაშიათ...**

- (იცინის)... "დინამო" ფრეზე ყაბულს არაა. ჩვენ ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვით, მაგრამ ხანდახან ეს არ გამოგვდის ხოლმე. ჩატარებული ექვსი შეხვედრიდან სპლიტის "ჰაიდუკთან" და იენის "კარლ ცაისთან" ნათამაშებ მატჩებს გამოვყოფდი. ამ ტესტმატჩებში ბიჭებმა მაქსიმუმი ჩადეს და კარგი სპარინგის გარდა, დიდი გამოცდილებაც მიიღეს. სპორტული მომენტების გარდა, "კარლ ცაისთან" შეხვედრა ფსიქოლოგიურადაც დაძაბული იყო. ამასაც თავისი დატვირთვა აქვს, რადგან ისტორიას თუ გადავხედავთ, ამ გუნდებს შორის თამაში ყოველთვის დერბია. თუმცა ჩემმა ბიჭებმა ფსიქოლოგიურ დატვირთვასაც გაუძლეს და ეს თამაში მოვიგეთ.

**- ლიხტენშტაინის "ვადუცთან" მატჩამდე კვირალა დარჩა. მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ჩვენ, "ვადუცის" თამაშის ორი ვიდეოფირი გვაქვს. ზამთრის შეკრებაზე, თებერვალში "ვადუცთან" "ამერმა" ამხანაგური მატჩი გამართა. ამას გარდა, გვაქვს "ვადუცისა" და ავსტრიული "ლუშტენაუს" ახლახან, 7 ივლისს გამართული საკონტროლო მატჩის ვიდეოფირიც.

მართალია, "ვადუცი" ლიხტენშტაინის წარმომადგენლია, მაგრამ იოლ მეტოქესთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ბოლო სამი წლის განმავლობაში "ვადუცმა" პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი სამჯერ გადალახა. მეტოქეს არაერთი ლეგიონერი ჰყავს და რთული მატჩები გველის. "დინამო" მეტოქეზე ძლიერია, მაგრამ ფსიქოლოგიურად მობილიზებულნი თუ არ ვეთამაშეთ "ვადუცს", ისე ამ ბარიერის გადალახვა გაგვიჭირდება.

**- ლიხტენშტაინელთა წინააღმდეგ "დინამოს" შანსს როგორ შეაფასებდით?**

- ზემოთაც გითხარით. ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს და უფრო მეტი შანსი გვაქვს, მაგრამ ამ შანსს გამოყენება უნდა. "ვადუცის" წინააღმდეგ სპორტულის გარდა, ფსიქოლოგიურ მხარეს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება. მთავარია, მეტოქე სათანადოდ შევაფასოთ. ჯერჯერობით, ლიხტენშტაინელებთან პირველი მატჩიც არ გაგვიმართავს და შანსებსაც თანაბრად გავანაწილებდი.

**- ახალ ფეხბურთელებზე რა წარმოდგენა შეგექმნათ?**

- ჩემი აზრით, ოვონო ჩინებული მეკარეა. სპლიტის "ჰაიდუკსა" და "კარლ ცაისთან" მატჩებში მან საკმაოდ კარგად ითამაშა. კარგი ფორვარდია აკირემი. მან პირველივე თამაშშივე ჰეთთრიკი შეასრულა. კომბინაციური თამაშისას აკირემს მცირედი პრობლემა ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ, ამასაც დახვეწს. იმასაც აღვნიშავ, რომ "კარლ ცაისთან" ერთადერთი გოლის ავტორ მერებაშვილს სწორედ აკირემიმ გაუკეთა საუცხოო პასი... რაიმონ ვუკუეზე დაკვირვებას ვაგრძელებთ და მის საკითხს მალე გადავწყვეტთ.

ერთადერთი, მარცხენა მცველის პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი. რომან დობეშის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიგვიღია. ოლეგ გველესიანს კი ტრავმა აქვს და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ჯერ კიდევ ვერ ვარჯიშობს. უკიდურეს შემთხვევაში, თომაშვილი უნდა ვათამაშოთ მარცხენა ფრთაზე... თუმცა ჯერ კიდევ გვაქვს დრო და ვფიქრობ, ამ პრობლემასაც მოვაგვარებთ.

დაბოლოს, როგორც შევიტყვეთ, გაბონიდან უკვე ჩამოვიდა დიდიე ოვონოს სატრანსფერო ფურცელი. გაბონის ნაკრების მეორე წევრზე, ფორვარდ ჯორჯ აკირემზე სატრანსფერო მოთხოვნა გაგზავნილია და იმედია, მისი ტრანსფერიც მალე ჩამოვა.

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# ჯერ ურეკი, შემდეგ ანკარა

9 ივლისიდან მოყოლებული, ინტერტოტოს პირველივე ეტაპზე დამარცხებული "ზესტაფონი" ურეკში ემზადება. ამ შეკრებაზე აქცენტი ფეხბურთელთა ფიზიკურ და თეორიულ მომზადებაზე კეთდება. 22 ივლისიდან კი ფეროელები თურქეთში გადაინაცვლებენ. "ზესტაფონი" დედაქალაქ ანკარის მახლობლად მდებარე სამთო კურორტზე გადაინაცვლებს, საიდანაც მე-19 ეროვნული ჩემპიონატის სტარტისთვის დაბრუნდება. **პოლ კესანის** გარდა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, გაბონელი ვარჯიშს რამდენიმე დღეში განაახლებს.

თურქეთში ჩვენი გუნდი ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. სავარაუდო მეტოქეებთან ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს და მათი ვინაობა მალე გახდება ცნობილი.

კლუბის პრესატაშის, **სერგო ფუტკარაძის** თქმით, **გიორგი ჭელიძის** საკითხი განხილვის სტადიაშია და ჯერ მისი წასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა. ჭელიძის მსგავსად, გუნდთან ერთად ურეკში არაა **ბექა გოცირიძეც**, რომლის ზესტაფონური კარიერა, როგორც ჩანს, დასრულებულია.

სამაგიეროდ, ურეკში სრულფასოვნად ვარჯიშობს **ზურაბ იონანიძე**. შეგახსენებთ, გასული სეზონის დასრულებისთანავე, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ იგი დაითხოვა, მაგრამ გამოცდილი ფორვარდი გუნდში მალევე დააბრუნა.

**თემურ მახარაძეს** შეტევა მაინც პრობლემურ რგოლად მიაჩნია და უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს დღეებში "ზესტაფონთან" კონტრაქტს ერთი კვალიფიციური თავდამსხმელი გააფორმებს. გუნდის გაძლიერება არც სხვა პოზიციებზეა გამორიცხული. ქართველებთან ერთად, გუნდის რიგებში არც ახალი ლეგიონერების გამოჩენა უნდა გაგვიკვირდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# ქართველები მიწვევას ელიან



დავით იმედაშვილი

**კახა ალადაშვილი** და **დავით იმედაშვილი** კიევში არიან და რუსეთის ვიზას ელოდებიან. კარგა ხნის წინათ გადაწყდა, რომ მომავალ სეზონს ისინი კიევის "დინამოს" შემადგენლობაში არ გაატარებენ.

შეგახსენებთ, იმედაშვილი რამენსკოეს "სატურნის" შემადგენლობაში ავსტრიაში ვარჯიშობდა. თუმცა 11 ივლისს რუსები სამშობლოში დაბრუნდნენ და ქართველი მცველი **გაჯი გაჯიევის** რჩეულებში არ იყო. როგორც გავარკვიეთ, დათოს დღემდე ვერ აულია რუსეთის ვიზა და და ამის გამო დროებით კიევში გაჩერდა.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ალადაშვილიც, რომელიც ასევე რუსეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას. იმედია, ორივე ქართველი ფორმალობებს დროულად მოაგვარებს და კარიერას შესაფერის კლუბებში გააგრძელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ევრომეტოქე

# ასტანელთა ქართული ისტორია

17 ივლისს რუსთავის "ოლიმპი" შინ ყაზახეთის ჩემპიონს უმასპინძლებს. "ასტანა" საქართველოში კარგ ხასიათზე ჩამოდის. ბოლო ტურში გუნდმა 3:0 გაანადგურა მეორეადგილოსანი "შახტიორი". "ასტანიდან" თავი გამოიჩინეს **აბდუალიევმა, სუჩკოვმა** და **კენ შეხარიევმა**. შემადგენლობა კი ასე გამოიყურებოდა: **ბოიჩენკო, კუმისბეკოვი, კუჩმა, ჟალმაგამბეტოვი, ალიევი, ჩიჩულინი, აქსაონოვი (58. სერგიენკო), აბდულიევი (60. კუკეევი), კენჟესარიევი (87. აზოვსკი), სუჩკოვი, კოჩკაევი.**

გუნდში 6 ივლისს ახალი მთავარი მწვრთნელი, **ალექსანდრ ირხინი** დაუნიშნეს. ის კლუბში 2003 წელსაც მუშაობდა, როდესაც გუნდი "ჟენისის" სახელით გამოდიოდა. ზემოთაც გითხარით, რუსთავში, შესაძლოა, **გიორგი გაბიდაურმა** ითამაშოს. შეგახსენებთ, იგი "შახტიორში" **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისიდან" მოხვდა.

1998 წელს "ასტანა", ანუ მაშინდელი "ჟენისი" ქართულ გუნდად მონათლეს. კლუბის პრეზიდენტი **გრიგოლ ლორია** გახლდათ, მისი ვაჟი **დავითი** კი მეორე მეკარე, კარიერას სწორედ აქ იწყებდა. ის ჩვენი **ვეფხია გვენცაძის** კონკურენტი იყო.

მათ გარდა, გუნდში იყვნენ **დავით ხეთეშვილი, თენგიზ დოლიძე** (რომელიც ამჟამად საფეხბურთო სკოლა "ოლიმპის" სისტემაში მუშაობს), **გელა ჩიგოგიძე, ლერი საბიაშვილი** და **მამუკა კიკვილაშვილი**. ანუ ერთ სეზონში რვა კაცი! 1999 წელს გვენცაძე, დოლიძე, კიკვილაშვილი და საბიაშვილი გუნდიდან წამოვიდნენ, მაგრამ "ჟენისმა" გორელი **ზურაბ ხორგუაშვილი** დაიმატა, შემდეგ წელს "ვიტ ჯორჯიიდან" ტანმაღალი თავდამსხმელი **ვლადიმერ ქუთათელაძე**, ნალჩიკის "სპარტაკიდან" კი ასევე ფორვარდი **ვასილ სეფაშვილი**.

მათ შორის ყველაზე წარმატებული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ოდინდელი კანდიდატი ხეთეშვილი გახლდათ, რომელიც გუნდის ლიდერი იყო და იქიდან 2000 წელს ტულის "არსენალში" გადავიდა. ამ დროიდან ქართველებმა "ჟენისი" დატოვეს, მათ შორის ლორიებმაც, ჯერ მამამ, შემდეგ 2002 წელს დათომაც გუნდში მხოლოდ **დიმა ვერემჩუკი** გამოჩნდა.

2002 წელს "ასტანამ" მოსკოვის თანამეგობრობის თასზე ქუთაისის "ტორპედოსთან" ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა და 1:2 დამარცხდა. ქართველებიდან გოლი **იონანიძემ** და **პოროშინმა** გაიტანეს. იმ "ტორპედოდან" "ასტანასთან", შესაძლოა, რუსთაველთა შორის **მიხეილ მახვილაძემ** და **ლევან სილაგაძემ** ითამაშონ. საინტერესოა, რომ "ჟენისმა" 2004 წელს ქართული წარმოშობის მეკარე **ალექსანდრე ჩიხრაძე** დაიწუნა, რომელიც ნალჩიკის "სპარტაკს" დაუბრუნდა.

წელს კი "ასტანაში" არც ერთი ქართველი აღარაა. ერთადერთი, რუსთავში, შესაძლოა, გიორგი გაბიდაური ვიხილოთ, რაზეც ზემოთაც მოგახსენეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# მალე: იაშვილი ფრაიბურგის წინააღმდეგ

ცხრაწლიანი ფრაიბურგული კარიერის შემდეგ, **ალექსანდრე იაშვილი** ბუნდესლიგაში წლეულს აღზევებულ "კარლსრუეში" გადავიდა და ძალიან საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს თავს იქ. იაშვილი 30 წლისაა და შეიძლება ითქვას, კარიერის პიკზეა - წინა სეზონში ჩინებულად ითამაშა მეორებუნდესლიგურ "ფრაიბურგში". იაშვილს გუშინ დავურეკეთ...

- ახალ კოლექტივს კარგად შევეწყვე. ახლა კარლსრუედან წამოვედით და ბადენ-ვიურტენბერგის ერთ-ერთ სამთო კურორტზე ვართ, ერთი კვირა აქ ვიქნებით. ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება, ბურთით ვარჯიში - ყველანაირად ვიტვირთებით. სეზონის პირველი ოფიციალური მატჩიც მალე გვექნება - 21 ივლისს ლიგის თასზე "შალკეს" ვხვდებით.

**- "კარლსრუეს" მწვრთნელ ედმუნდ ბეკერზე რა შთაბეჭდილება დაგრჩა, როგორი ტიპის სპეციალისტია?**

- ის სხვებთან შედარებით უფრო მშვიდი მწვრთნელია, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და შემტევი ფეხბურთის მოყვარულია. "კარლსრუეში" ახალი მოსული იყო და გუნდი ბუნდესლიგაში დააბრუნა.

**- ბეკერს "კარლსრუედან" წასულ ჯოვანი ფედერიკოს შემცვლელად უნდიხარ? ასე ვარაუდობენ გერმანულ პრესაში...**

- ფედერიკო ფორვარდების უკან თამაშობდა და მეც ამ პოზიციაზე ვიყავი ბოლო დროს "ფრაიბურგში". ბეკერს ჯერ არ უთქვამს, თუ სად ვითამაშებ. "კარლსრუეში" ჩემ გარდა, კიდევ ორი ახალი ფორვარდი მოვიდა და მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ სად ითამაშებს. ჯერ მხოლოდ ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ - პირველ შეხვედრაში გამოკვეთილი ფორვარდი ვიყავი, მეორეში - მარჯვენა გარემარბი.

**- მომდევნო საკონტროლო მატჩებსაც ქვედალიგელებთან ითამაშებთ?**

- კვირას კიდევ ერთ ქვედალიგელს გავეჯიბრებით, "შალკესთან" მატჩის შემდეგ კი "ფრაიბურგს" შევხვდებით ნეიტრალურ სტადიონზე. ხოლო თუ "შალკეს" მოვუგებთ, ლიგის თასის მომდევნო ეტაპზე "ვერდერსა" და "ბაიერნს" შორის გამარჯვებულს ვეთამაშებით.

**დავით თავართქილაძე**

# დემეტრაძემ გოლი გაიხსენა

დონეცკის "მეტალურგი" სეზონისთვის მომზადებას აგრძელებს. გუნდმა უკვე მეორე საკონტროლო მატჩი მოიგო. პირველად მეტალურგებმა სვერდლოვსკის "შახტიორს" 4:2 სძლიეს. **გიორგი დემეტრაძემ**, რომელმაც მთელი გასული სეზონი ჩააგდო, როგორც იქნა, გოლი გაიტანა. თუკი "მეტალურგის" ოფიციალურ ვებ გვერდს ვენდობით, გიორგიმ გოლი-შედევრით გამოიჩინა თავი. 30 მეტრიდან შესრულებული საჯარიმოს შემდეგ, ბურთი ხარიხიდან ბადისკენ ასხლტა.

მეორე შეხვედრაში "მეტალურგმა" მარიუპოლის "ილიჩევეცი" 1:0 დაამარცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ახალი ამბები

# თუ ფაბრეგასს ვერ იყიდიან, მიატოვიჩი რიკელმეს მიაკითხავს

## სამეფო კლუბში გამალებული მუშაობაა, გენერალურმა დირექტორმა ოსასუნაში განათხოვრებული რობერტო სოლდადო ბერნაბეუზე დააბრუნა. მან კასილიასს დუბლიორიც უპოვნა, ის დუდეკი იქნება...

მადრიდის "რეალში" სიტუაცია, ასე თუ ისე, დალაგდა. **ფაბიო კაპელოს** გათავისუფლება უწინდებურად გაუგებარ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია, მაგრამ უკვე პროგრესია, რომ სამეფო კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. **ბერნდ შუსტერი** მუშაობას ათ დღეში შეუდგება. ფეხბურთელები შვებულებიდან სწორედ იმ დროისთვის დაბრუნდებიან. მანამდე გერმანელი სპეციალისტი სატრანსფერო საქმეებში მონაწილეობს. მოგეხსენებათ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" **კრისტოფ მეტცელდერის** პრეზენტაცია მოეწყო. გუშინ ხალხს **პეპეც** გააცნეს. უახლოეს დღეებში საზოგადოებას **ხავიერ სავიოლასაც** წარუდგენენ. მოსალოდნელია, რომ **რამონ კალდერონი** სხვა ფეხბურთელების გადაბირებასაც შეეცდება.

შემადგენლობის გაძლიერება ესპანური გრანდის ხელმძღვანელობის უმთავრესი საზრუნავია. არ ვიცით **რობერტო სოლდადო** "რეალს" რამდენად გააძლიერებს, მაგრამ ფაქტია, გუშინ დედაქალაქელებმა მას კონტრაქტი 2012 წლამდე გაუხანგრძლივეს. წინა ხელშეკრულებას მომავალი სეზონის ბოლოს ეწურებოდა ვადა. შუსტერმა და **პრედრაგ მიატოვიჩმა** ჩათვალეს, რომ სოლდადო საჭირო კაცია. გეცოდინებათ, ახალგაზრდა ფორვარდმა გასული სეზონი იჯარის წესით "ოსასუნაში" გაატარა. მასთან თანამშრომლობის სურვილს პრიმერა დივიზიონის რამდენიმე კლუბი გამოთქვამდა. მიმომხილველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ რობერტო "ბერნაბეუზე" არ დაბრუნდებოდა, თუმცა როგორც ხედავთ, დირექტორატმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო.

სამეფო კლუბში სოლდადო 14 წლის ასაკში მივიდა. წარმოშობით ვალენსიელი ფეხბურთელი მანამდე მშობლიური ქალაქის საფეხბურთო სკოლებში თამაშობდა. მადრიდელმა სკაუტებმა მასში დიდი ნიჭი დაინახეს და დედაქალაქში ჩაიყვანეს. კონკურენციასთან დაკავშირებული სირთულეების გამო რობერტოს ძირითადად მეორე გუნდში ასპარეზობა უწევდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "კასტილიამ" სეგუნდა დივიზიონში აღზევება სწორედ სოლდადოს შესანიშნავი თამაშის წყალობით შეძლო. მაშინ პროგრესი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ახალგაზრდა თავდამსხმელს ძირითად გუნდში უხმეს და პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში საპასუხისმგებლო შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცეს.

რობერტო გაიზარდა, ახლა უფრო გამოცდილი და ძლიერია. მიატოვიჩი დარწმუნებულია, რომ მისი სახით "რეალს" პერსპექტიული ფორვარდი ეზრდება. სოლდადო სამეფო კლუბის ხელმძღვანელების მიმართ მადლიერებას არ მალავს და აცხადებს: *"წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდება 2012 წლამდე, მაგრამ უზომოდ მახარებს, რომ მთელი მომავალი სეზონის განმავლობაში ჩემს უსაყვარლეს კლუბში ვიქნები. ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ "რეალის" ძირითად გუნდში მომეკიდა ფეხი. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ სერიოზულ კონკურენციას წავაწყდები, მაგრამ ეს არ მაშინებს. ბრძოლასა და ომს ჯერ კიდევ იმ დროს შევეჩვიე, როცა სამეფო კლუბის საყმაწვილო გუნდებში ვასპარეზობდი. ასე რომ, მართლაც არ მეშინია. ხელისუფლებას ნდობისა და თანადგომისთვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. მჯერა, სენიორ შუსტერი შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს არაერთხელ მომცემს. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ თავს არ დავზოგავ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მომავალ სეზონში გუნდს გოლებით დავეხმარო და ტიტულების მოპოვებას შევუწყო ხელი."*

ამასობაში, მიატოვიჩმა "ბერნაბეუზე" კიდევ ერთი ახალწვეული ჩაიყვანა. **დიეგო ლოპესის** წასვლის შემდეგ, კლუბში მეორე მეკარის ვაკანსია გაჩნდა. გასული დღეების განმავლობაში მთელი სერიოზულობით საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ გენერალური დირექტორი **ფრანჩესკო ტოლდოს** მენეჯერთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ **იკერ კასილიასის** დუბლიორი სწორედ იტალიელი გოლკიპერი გახდებოდა, თუმცა როგორც ჩანს, ტოლდომ მეორე მეკარის სტატუსი არ მოიწონა და პირენეულ გრანდთან მოლაპარაკება შეწყვიტა. ისიც ითქვა, ფრანჩესკო მეტისმეტად მაღალ ხელფასს ითხოვდაო. ამის შემდეგ მიატოვიჩმა სათადარიგო გეგმა აამოქმედა და **ირჟი დუდეკი** გადაიბირა. პოლონელ მეკარეს "ლივერპულთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა და სამეფო კლუბში, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადავიდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხას მიიღებს ის წლიური ხელფასის სახით. დუდეკი "სანტიაგო ბერნაბეუზე" სამ სეზონს გაატარებს. მიმომხილველები ამ ბოლო ტრანსფერით გამოწვეულ გაოცებას ვერ მალავენ. მათი აზრით, ირჟი არ არის იმ დონის მეკარე, რომელიც "რეალის" მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეძლებს. ექსპერტთა მკაცრი შეფასება დუდეკს ხელს არ უშლის, რომ პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გუნდში გადაბარგებით ბედნიერად იგრძნოს თავი: *"ყველაფერი მოულოდნელად და სწრაფად მოხდა. ბუნებრივია, ესპანელთა შეთავაზებაზე უარს ვერ ვიტყოდი. "რეალი" ხომ ყველაზე ტიტულოვანი კოლექტივია. უახლოეს დღეებში სამედიცინო შემოწმებას გავივლი და კონტრაქტს ოფიციალურად გავაფორმებ."*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მადრიდელები გასული დღეების განმავლობაში გაჩარხული ტრანსფერებით არ დაკმაყოფილდებიან. მოსალოდნელია, რომ ოთხი ახალწვეულის (მეტცელდერი, პეპე, სავიოლა, დუდეკი) გარდა, სამეფო კლუბს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაუკავშირებს ბედს. გეცოდინებათ, შუსტერსა და მიატოვიჩს "არსენალიდან" **სესკ ფაბრეგასის** გადაბირება სურთ, თუმცა "მეთოფეები" მის გასხვისებას ყოველმხრივ ეწინააღმდეგებიან. გუშინ გაირკვა, რომ ხელმძღვანელობას ალტერნატიული ვარიანტი ამ შემთხვევაშიც აქვს. კერძოდ, დაიწერა, რომ მიატოვიჩი **ხუან რომან რიკელმეს** მენეჯერს, **მარკოს ფრანკის** დაუკავშირდა და მადრიდში ჩასვლა შესთავაზა. ჩერნოგორიელი საფეხბურთო ფუნქციონერი პირდაპირ და დაუფარავად ამბობს, თუ ფაბრეგასს ხელში ვერ ჩავიგდებთ, მთელ ძალისხმევას რიკელმეს შეძენას მოვახმართო. როგორც იცით, რომიმ "ვილიარეალის" მთავარ მწვრთნელთან, **მანუელ პელეგრინისთან** სერიოზული კონფლიქტის გამო გასული სეზონი იჯარის წესით "ბოკა ხუნიორსში" გაატარა. არგენტინელმა ნახევარმცველმა ბაირესულ გრანდში ფანტასტიკურად იასპარეზა და "ბოკას" ლიბერტადორესის თასის მოპოვებაში დაეხმარა. ის კოპა ამერიკაზეც გენიალურად თამაშობს. მიუხედავად ამისა, პელეგრინი მასთან შერიგებაზე არ ფიქრობს და კვლავ აცხადებს, რომ ხუან რომანთან არ ითანამშრომლებს. ეს დაძაბულობა მიატოვიჩს დიდ იმედს აძლევს, თუმცა ტრანსფერის განხორციელება იოლი ვერც ერთ შემთხვევაში იქნება. საქმე ის არის, რომ სამხრეთამერიკელ ნახევარმცველს "ატლეტიკოც" ეპატიჟება. ამასთან, "როხიბლანკოსთვის" რიკელმე უპირველესი სამიზნეა. **ენრიკე სერესო** არ ამბობს, ამა თუ იმ ფეხბურთელის შეძენას თუ ვერ მოვახერხებთ, რიკელმეზე ვიფიქრებთო. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "ატლეტიკოს" უკეთესი შანსები აქვს, მაგრამ საკმარისია, მიატოვიჩი ოდნავ უფრო გააქტიურდეს, "რეალის" შანსებიც ერთი-ორად გაიზრდება. მართივად რომ ვთქვათ, პედიამ "ვილიარეალს" 10 მილიონზე მეტი უნდა შეთავაზოს, რადგან სენიორ სერესო არგენტინელში სწორედ ამ თანხას იხდის.

სამუშაო **რამონ კალდერონსაც** თავზე საყრელად აქვს. გუშინ პრეზიდენტმა რამდენიმე თვის წინ მიცემული სიტყვა შეასრულა და **სერხიო რამოსს** საკონტრაქტო პირობები გაუუმჯობესა. კალდერონი ახალგაზრდა მცველს შეპირდა, თუ ჩემპიონები გავხდებით, ხელფასს მნიშვნელოვნად გაგიზრდიო. მომატებული თანხის რაოდენობა არ ხმაურდება, მაგრამ თავად რამოსის ენთუზიაზმი გვაფიქრებინებს, რომ საქმე სერიოზულ ფულს შეეხება: *"ჩვენი პრეზიდენტი სიტყვის კაცია. მან პირობა დროულად შეასრულა და ხელფასი გამიზარდა. ამით უაღრესად კმაყოფილი გახლავართ. "რეალის" სიყვარული უპირობოა, მაგრამ ადამიანი ვარ და ფულს ჩემი კეთილდღეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მიხარია, რომ ამიერიდან უფრო კარგად ვიცხოვრებ. სანაცვლოდ კი სამეფო კლუბს სიცოცხლესაც შევწირავ. მოკლედ, უწინდებურად დიდი შემართებით ვითამაშებ და დავამტკიცებ, რომ ხელფასის გაზრდით შეცდომა არ დაუშვიათ."*

მადრიდში ხმები ვრცელდება, რომ სერია A-ში აღზევებული "იუვენტუსი" **ფაბიო კანავაროს** დაბრუნებისთვის სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. გაზეთებში კონკრეტულ თანხასა და "ბებერი ქალბატონის" შესანიშნავ შანსებზეც საუბრობდნენ, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ვეტერანი იტალიელი მცველი "ბერნაბეუზე" რჩება. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "იუვეს" დამრიგებლის, **კლაუდიო რანიერის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჩვენი გუნდის დაცვა უკვე დაკომპლექტებულია. კანავარო, რა თქმა უნდა, დიდი მცველია, მაგრამ ახლა ის არ გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, ფაბიოს გარეშეც გავალთ ფონს. "იუვენტუსი" მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში დაბრუნებას აპირებს. მიზნის მისაღწევად არავის მოვერიდებით. თუ საჭირო გახდება, ნებისმიერ გუნდს შევაწუხებთ და ჩვენთვის სიმპათიურ ფეხბურთელებს გადმოვიბირებთ. "რეალს" კი შეუძლია, მშვიდად იყოს. კანავარო არ გვჭირდება. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ მის შეძენას არ ვგეგმავთ."*



ხუან რომან რიკელმე




ფაბრეგასი და ვენგერი

ბარსელონა

# ვენგერი ფაბრეგასს კატალონიური გრანდისთვის ინახავს

## ლაპორტა სავიოლას გაუწყრა, მას ტიტულებისადმი ნულოვანი ლტოლვა ჰქონდა და ამაგი არ დაგვიფასაო. მილიტოს ტრანსფერით გახარებული ბეგირისტაინი კი ყველა უსარგებლო ფეხბურთელების გაყიდვას გეგმავს

**სესკ ფაბრეგასი** მადრიდის "რეალის" ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ინტენსიურად მუშაობს იმისთვის, რომ ახალგაზრდა კატალონიელი ნახევარმცველი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაიყვანოს. ესპანური გრანდის მესვეურებს რამდენიმე რთული გარემოება უშლის ხელს. "არსენალის" შეფებს ფაბრეგასის გასხვისება არ სურთ. გუშინ "დიარიო მარკაში" ახალი საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. ავტორიტეტული სპორტული გაზეთის მტკიცებით, **არსენ ვენგერი** ტრანსფერის გაჩარხვას ყველაზე სერიოზულად ეწინააღმდეგება. ბუნებრივია, მთავარ მწვრთნელს არ სურს, რომ ნიჭიერმა მოთამაშემ მისი გუნდი დატოვოს. მართლაც წონადი არგუმენტია, მაგრამ "დიარიო მარკას" ცნობით, ფრანგ სპეციალისტს კიდევ უფრო შორსმიმავალი მოტივები ამოძრავებს. მომავალი სეზონის დაწყების წინ ვენგერი "არსენალს" დატოვებს და "ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას. მოსიე არსენი "რეალს" ამიტომაც ეწინააღმდეგება. მას სურს, რომ სესკი "კამპ ნოუზე" წაიყვანოს და კატალონიურ გიგანტში დიადი კარიერის გაკეთებაში დაეხმაროს. იმისთვის, რომ ფაბრეგასი ამ ვარიანტზე დაითანხმოს მწვრთნელი მზადაა, მას "მეთოფეების" კაპიტნის სამკლავური შეთავაზოს და ხელმძღვანელობას ხელფასის გაზრდაზე დაელაპარაკოს. ამავდროულად, ესპანელმა ჟურნალისტებმა ისიც გაიხსენეს, რომ სესკს კარიერის სამეფო კლუბში გაგრძელების პერსპექტივა უზომოდ ხიბლავს. როგორც გაირკვა, ნახევარმცველი მადრიდელებთან მოლაპარაკებას მაინც გააგრძელებს.

ამასობაში, "ბარსელონის" პრეზიდენტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. **ხოან ლაპორტამ** რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. მათ შორის **ხავიერ სავიოლას** "რეალში" გადაბარგებაზე: *"არგენტინელმა გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო და უფლება არ გვაქვს, მას უპატივცემულოდ მოვეპყროთ, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ვიზიარებთ სავიოლას მოტივებს. შესაძლოა, ბევრს ჰგონია, რომ ხავიერს "ბარსაში" ცუდად ექცეოდნენ. არამც და არამც, მას ისე ვეპყრობოდით, როგორც მეფეს. ხუთი წლის განმავლობაში ფანტასტიკური კონტრაქტის პირობებით სარგებლობდა. მართალია, რამდენიმე სეზონი იჯარის წესით სხვადასხვა კლუბში გაატარა, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი სულაც არ არის. მას ყველა პირობას ვუქმნიდით, რათა მხოლოდ ფეხბურთზე ეფიქრა და შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოემჟღავნებინა. სამწუხაროდ, არგენტინელს ტიტულებისადმი ლტოლვის ნულოვანი ხარისხი აღმოაჩნდა. მართლაც ფენომენალური ხელშეწყობის მიუხედავად, მოტივაციას ვერ პოულობდა. წყინდა, რომ ამას ვხედავდით და უკმაყოფილებას გამოვთქვამდით. ბოლოს გადაწყვიტა, რომ ჩვენთან აღარ დარჩებოდა და დაუფარავი ლანძღვა დაგვიწყო. ახლა კი "რეალთან" გააფორმა ხელშეკრულება."*

ლაპორტა მიმდინარე პრეტემპორადისას გაჩარხულ ტრანსფერებსაც გამოეხმაურა: *"ტიერი ანრის, იაია ტურეს, ერიკ აბიდალისა და გაბრიელ მილიტოს შეძენის შემდეგ, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობა გვყავს. ჩიკი ბეგირისტაინმა ფანტასტიკური სამუშაო შეასრულა. მისით აღფრთოვანებული გახლავართ. მიმაჩნია, რომ შეტევა, შუახაზი და დაცვა თანაბრად გაძლიერდა. ცნობილია, რომ ჩვენს ვარსკვლავებს რამდენიმე ძლიერი გუნდი ინვევს. ყველაზე დიდი მოთხოვნა რონალდინიოზე, ეტოოსა და დეკუზეა. მათთვის სამწუხაროდ, ეს ფეხბურთელები ხელშეუხებლები არიან, ანუ ისინი არ იყიდებიან. წარუმატებელი სეზონის გამო, უკმაყოფილება ღიად გამოვხატე. როგორც ჩანს, კოლეგებმა იფიქრეს, რომ წამყვან მოთამაშეებს უმტკივნეულოდ დავთმობდით. სეზონის დასრულების შემდეგ მთელი გუნდი შევიკრიბეთ და სრული სერიოზულობით ვისაუბრეთ. ყველამ საკუთარი შეცდომა აღიარა და პირობა დადო, რომ მომავალში ამ შეცდომებს აღარასოდეს გაიმეორებენ. მოკლედ, საკითხი დახურულია. ფეხბურთელებს ვყიდით, მაგრამ არა ამ სამეულს. თუ ვინმეს სურს სატრანსფერო მოლაპარაკებებში ჩაგვრთოს, ჩიკი ბეგირისტაინს უნდა დაუკავშირდნენ."*

ბეგირისტაინი მზადაა, "ბარსასთვის" არასასურველი ფეხბურთელების თავიდან მოცილების საქმეზე ინტენსიურად იმუშაოს: *"არ მინდა იფიქროთ, რომ თავს ვიქებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალიან დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ბოლო დიდი შენაძენი გაბრიელ მილიტოა. ჩემი აზრით, მას თავისუფლად შეუძლია, ერთ-ერთი ლიდერის ფუნქცია იტვირთოს და გუნდს უდიდესი გამარჯვებებისკენ გაუძღვეს. ძალიან კმაყოფილი გახლავართ, რომ არგენტინელი ამიერიდან "ბარსელონის" ღირსებას დაიცავს. პრეზიდენტმა გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადამიხადა. მოკლედ, ყველა გახარებულია. ახლა კი ვგონებ, დადგა დრო, როცა იმ ფეხბურთელების გასხვისებაზე მუშაობას შევუდგეთ, რომლებსაც "კამპ ნოუზე" პერსპექტივა აღარ გააჩნიათ. გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან ალბათ, ყველამ იცის, რომელი ბიჭები არ გვჭირდებიან. უკვე რამდენიმე წინადადება მივიღეთ. თავად გავამხილე, რომ გარკვეული მოთამაშეების გაშვება გვსურს, მაგრამ ამ ნაბიჯს ნებისმიერ ფასად არ გადავდგამთ. ვინმესთვის მათ ჩუქებას არ ვაპირებთ. თუ რაციონალურ წინადადებას გაგვაცნობენ, პრობლემებს არ შევქმნით."*

ბეგირისტაინმა გვარები არ დაასახელა, მაგრამ მიმომხილველებს თვალთახედვიდან არაფერი გამოეპარებათ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ "ბარსელონის" გენერალური დირექტორი **მოტას, სილვინიოს, ედმილსონს, ესკეროსა** და **გუდიონსენს** გულისხმობდა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის გაყიდვაც კატალონიელებმა მოახერხეს, **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტია**. ჰოლანდიელი მცველი "ფეიენოორდში" გადაბარგდა. შეგახსენებთ, "ბარსა" სავიოლამაც დატოვა, თუმცა ის თავისუფალი აგენტი გახლდათ და "რეალს" მის სანაცვლოდ ერთი ცენტიც არ გადაუხდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი 2007/08. კალენდარი

### პირველი წრე

**ტური 1** 26.08.2007

ბილბაო-ოსასუნა
რასინგი-ბარსელონა
მურსია-სარაგოსა
მალიორკა-ლევანტე
რეალი-ატლეტიკო
ვალენსია-ვილიარეალი
დეპორტივო-ალმერია
ესპანიოლი-ვალიადოლიდი
რეკრეატივო-ბეტისი
სევილია-ხეტაფე

**ტური 2** 02.09.2007

ოსასუნა-სევილია
ბარსელონა-ბილბაო
სარაგოსა-რასინგი
ლევანტე-მურსია
ატლეტიკო-მალიორკა
ვილიარეალი-რეალი
ალმერია-ვალენსია
ვალიადოლ.-დეპორტივო
ბეტისი-ესპანიოლი
ხეტაფე-რეკრეატივო

**ტური 3** 16.09.2007

ოსასუნა-ბარსელონა
ბილბაო-სარაგოსა
რასინგი-ლევანტე
მურსია-ატლეტიკო
მალიორკა-ვილიარეალი
რეალი-ალმერია
ვალენსია-ვალიადოლიდი
დეპორტივო-ბეტისი
ესპანიოლი-ხეტაფე
სევილია-რეკრეატივო

**ტური 4** 23.09.2007

ბარსელონა-სევილია
სარაგოსა-ოსასუნა
ლევანტე-ბილბაო
ატლეტიკო-რასინგი
ვილიარეალი-მურსია
ალმერია-მალიორკა
ვალიადოლიდი-რეალი
ბეტისი-ვალენსია
ხეტაფე-დეპორტივო
რეკრეატივო-ესპანიოლი

**ტური 5** 26.09.2007

ბარსელონა-სარაგოსა
ოსასუნა-ლევანტე
ბილბაო-ატლეტიკო
რასინგი-ვილიარეალი
მურსია-ალმერია
მალიორკა-ვალიადოლიდი
რეალი-ბეტისი
ვალენსია-ხეტაფე
დეპორტივო-რეკრეატივო
სევილია-ესპანიოლი

**ტური 6** 30.09.2007

სარაგოსა-სევილია
ლევანტე-ბარსელონა
ატლეტიკო-ოსასუნა
ვილიარეალი-ბილბაო
ალმერია-რასინგი
ვალიადოლიდი-მურსია
ბეტისი-მალიორკა
ხეტაფე-რეალი
რეკრეატივო-ვალენსია
ესპანიოლი-დეპორტივო

**ტური 7** 07.10.2007

სარაგოსა-ლევანტე
ბარსელონა-ატლეტიკო
ოსასუნა-ვილიარეალი
ბილბაო-ალმერია
რასინგი-ვალიადოლიდი
მურსია-ბეტისი
მალიორკა-ხეტაფე
რეალი-რეკრეატივო
ვალენსია-ესპანიოლი
სევილია-დეპორტივო

**ტური 8** 21.10.2007

ლევანტე-სევილია
ატლეტიკო-სარაგოსა
ვილიარეალი-ბარსელონა
ალმერია-ოსასუნა
ვალიადოლიდი-ბილბაო
ბეტისი-რასინგი
ხეტაფე-მურსია
რეკრეატივო-მალიორკა
ესპანიოლი-რეალი
დეპორტივო-ვალენსია

**ტური 9** 28.10.2007

ლევანტე-ატლეტიკო
სარაგოსა-ვილიარეალი
ბარსელონა-ალმერია
ოსასუნა-ვალიადოლიდი
ბილბაო-ბეტისი
რასინგი-ხეტაფე
მურსია-რეკრეატივო
მალიორკა-ესპანიოლი
რეალი-დეპორტივო
სევილია-ვალენსია

**ტური 10** 31.10.2007

ატლეტიკო-სევილია
ვილიარეალი-ლევანტე
ალმერია-სარაგოსა
ვალიადოლ.-ბარსელონა
ბეტისი-ოსასუნა
ხეტაფე-ბილბაო
რეკრეატივო-რასინგი
ესპანიოლი-მურსია
დეპორტივო-მალიორკა
ვალენსია-რეალი

**ტური 11** 04.11.2007

ატლეტიკო-ვილიარეალი
ლევანტე-ალმერია
სარაგოსა-ვალიადოლიდი
ბარსელონა-ბეტისი
ოსასუნა-ხეტაფე
ბილბაო-რეკრეატივო
რასინგი-ესპანიოლი
მურსია-დეპორტივო
მალიორკა-ვალენსია
სევილია-რეალი

**ტური 12** 11.11.2007

ვილიარეალი-სევილია
ალმერია-ატლეტიკო
ვალიადოლიდი-ლევანტე
ბეტისი-სარაგოსა
ხეტაფე-ბარსელონა
რეკრეატივო-ოსასუნა
ესპანიოლი-ბილბაო
დეპორტივო-რასინგი
ვალენსია-მურსია
რეალი-მალიორკა

**ტური 13** 25.11.2007

ვილიარეალი-ალმერია
ატლეტიკო-ვალიადოლიდი
ლევანტე-ბეტისი
სარაგოსა-ხეტაფე
ბარსელონა-რეკრეატივო
ოსასუნა-ესპანიოლი
ბილბაო-დეპორტივო
რასინგი-ვალენსია
მურსია-რეალი
სევილია-მალიორკა

**ტური 14** 02.12.2007

ალმერია-სევილია
ვალიადოლ.-ვილიარეალი
ბეტისი-ატლეტიკო
ხეტაფე-ლევანტე
რეკრეატივო-სარაგოსა
ესპანიოლი-ბარსელონა
დეპორტივო-ოსასუნა
ვალენსია-ბილბაო
რეალი-რასინგი
მალიორკა-მურსია

**ტური 15** 09.12.2007

ალმერია-ვალიადოლიდი
ვილიარეალი-ბეტისი
ატლეტიკო-ხეტაფე
ლევანტე-რეკრეატივო
სარაგოსა-ესპანიოლი
ბარსელონა-დეპორტივო
ოსასუნა-ვალენსია
ბილბაო-რეალი
რასინგი-მალიორკა
სევილია-მურსია

**ტური 16** 16.12.2007

ვალიადოლიდი-სევილია
ბეტისი-ალმერია
ხეტაფე-ვილიარეალი
რეკრეატივო-ატლეტიკო
ესპანიოლი-ლევანტე
დეპორტივო-სარაგოსა
ვალენსია-ბარსელონა
რეალი-ოსასუნა
მალიორკა-ბილბაო
მურსია-რასინგი

**ტური 17** 23.12.2007

ვალიადოლიდი-ბეტისი
ალმერია-ხეტაფე
ვილიარეალი-რეკრეატივო
ატლეტიკო-ესპანიოლი
ლევანტე-დეპორტივო
სარაგოსა-ვალენსია
ბარსელონა-რეალი
ოსასუნა-მალიორკა
ბილბაო-მურსია
სევილია-რასინგი

**ტური 18** 06.01.2008

სევილია-ბეტისი
ხეტაფე-ვალიადოლიდი
რეკრეატივო-ალმერია
ესპანიოლი-ვილიარეალი
დეპორტივო-ატლეტიკო
ვალენსია-ლევანტე
რეალი-სარაგოსა
მალიორკა-ბარსელონა
მურსია-ოსასუნა
რასინგი-ბილბაო

**ტური 19** 13.01.2008

ბეტისი-ხეტაფე
ვალიადოლ.-რეკრეატივო
ალმერია-ესპანიოლი
ვილიარეალი-დეპორტივო
ატლეტიკო-ვალენსია
ლევანტე-რეალი
სარაგოსა-მალიორკა
ბარსელონა-მურსია
ოსასუნა-რასინგი
ბილბაო-სევილია

### მეორე წრე

**ტური 20** 20.01.2008

ოსასუნა-ბილბაო
ბარსელონა-რასინგი
სარაგოსა-მურსია
ლევანტე-მალიორკა
ატლეტიკო-რეალი
ვილიარეალი-ვალენსია
ალმერია-დეპორტივო
ვალიადოლ.-ესპანიოლი
ბეტისი-რეკრეატივო
ხეტაფე-სევილია

**ტური 21** 27.01.2008

სევილია-ოსასუნა
ბილბაო-ბარსელონა
რასინგი-სარაგოსა
მურსია-ლევანტე
მალიორკა-ატლეტიკო
რეალი-ვილიარეალი
ვალენსია-ალმერია
დეპორტივო-ვალიადოლ.
ესპანიოლი-ბეტისი
რეკრეატივო-ხეტაფე

**ტური 22** 03.02.2008

ბარსელონა-ოსასუნა
სარაგოსა-ბილბაო
ლევანტე-რასინგი
ატლეტიკო-მურსია
ვილიარეალი-მალიორკა
ალმერია-რეალი
ვალიადოლიდი-ვალენსია
ბეტისი-დეპორტივო
ხეტაფე-ესპანიოლი
რეკრეატივო-სევილია

**ტური 23** 10.02.2008

სევილია-ბარსელონა
ოსასუნა-სარაგოსა
ბილბაო-ლევანტე
რასინგი-ატლეტიკო
მურსია-ვილიარეალი
მალიორკა-ალმერია
რეალი-ვალიადოლიდი
ვალენსია-ბეტისი
დეპორტივო-ხეტაფე
ესპანიოლი-რეკრეატივო

**ტური 24** 17.02.2008

სარაგოსა-ბარსელონა
ლევანტე-ოსასუნა
ატლეტიკო-ბილბაო
ვილიარეალი-რასინგი
ალმერია-მურსია
ვალიადოლიდი-მალიორკა
ბეტისი-რეალი
ხეტაფე-ვალენსია
რეკრეატივო-დეპორტივო
ესპანიოლი-სევილია

**ტური 25** 24.02.2008

სევილია-სარაგოსა
ბარსელონა-ლევანტე
ოსასუნა-ატლეტიკო
ბილბაო-ვილიარეალი
რასინგი-ალმერია
მურსია-ვალიადოლიდი
მალიორკა-ბეტისი
რეალი-ხეტაფე
ვალენსია-რეკრეატივო
დეპორტივო-ესპანიოლი

**ტური 26** 02.03.2008

ლევანტე-სარაგოსა
ატლეტიკო-ბარსელონა
ვილიარეალი-ოსასუნა
ალმერია-ბილბაო
ვალიადოლიდი-რასინგი
ბეტისი-მურსია
ხეტაფე-მალიორკა
რეკრეატივო-რეალი
ესპანიოლი-ვალენსია
დეპორტივო-სევილია

**ტური 27** 09.03.2008

სევილია-ლევანტე
სარაგოსა-ატლეტიკო
ბარსელონა-ვილიარეალი
ოსასუნა-ალმერია
ბილბაო-ვალიადოლიდი
რასინგი-ბეტისი
მურსია-ხეტაფე
მალიორკა-რეკრეატივო
რეალი-ესპანიოლი
ვალენსია-დეპორტივო

**ტური 28** 16.03.2008

ატლეტიკო-ლევანტე
ვილიარეალი-სარაგოსა
ალმერია-ბარსელონა
ვალიადოლიდი-ოსასუნა
ბეტისი-ბილბაო
ხეტაფე-რასინგი
რეკრეატივო-მურსია
ესპანიოლი-მალიორკა
დეპორტივო-რეალი
ვალენსია-სევილია

**ტური 29** 23.03.2008

სევილია-ატლეტიკო
ლევანტე-ვილიარეალი
სარაგოსა-ალმერია
ბარსელონა-ვალიადოლ.
ოსასუნა-ბეტისი
ბილბაო-ხეტაფე
რასინგი-რეკრეატივო
მურსია-ესპანიოლი
მალიორკა-დეპორტივო
რეალი-ვალენსია

**ტური 30** 30.03.2008

ვილიარეალი-ატლეტიკო
ალმერია-ლევანტე
ვალიადოლიდი-სარაგოსა
ბეტისი-ბარსელონა
ხეტაფე-ოსასუნა
რეკრეატივო-ბილბაო
ესპანიოლი-რასინგი
დეპორტივო-მურსია
ვალენსია-მალიორკა
რეალი-სევილია

**ტური 31** 06.04.2008

სევილია-ვილიარეალი
ატლეტიკო-ალმერია
ლევანტე-ვალიადოლიდი
სარაგოსა-ბეტისი
ბარსელონა-ხეტაფე
ოსასუნა-რეკრეატივო
ბილბაო-ესპანიოლი
რასინგი-დეპორტივო
მურსია-ვალენსია
მალიორკა-რეალი

**ტური 32** 13.04.2008

ალმერია-ვილიარეალი
ვალიადოლ.-ატლეტიკო
ბეტისი-ლევანტე
ხეტაფე-სარაგოსა
რეკრეატივო-ბარსელონა
ესპანიოლი-ოსასუნა
დეპორტივო-ბილბაო
ვალენსია-რასინგი
რეალი-მურსია
მალიორკა-სევილია

**ტური 33** 20.04.2008

სევილია-ალმერია
ვილიარეალი-ვალიადოლ.
ატლეტიკო-ბეტისი
ლევანტე-ხეტაფე
სარაგოსა-რეკრეატივო
ბარსელონა-ესპანიოლი
ოსასუნა-დეპორტივო
ბილბაო-ვალენსია
რასინგი-რეალი
მურსია-მალიორკა

**ტური 34** 27.04.2008

ვალიადოლიდი-ალმერია
ბეტისი-ვილიარეალი
ხეტაფე-ატლეტიკო
რეკრეატივო-ლევანტე
ესპანიოლი-სარაგოსა
დეპორტივო-ბარსელონა
ვალენსია-ოსასუნა
რეალი-ბილბაო
მალიორკა-რასინგი
მურსია-სევილია

**ტური 35** 04.05.2008

სევილია-ვალიადოლიდი
ალმერია-ბეტისი
ვილიარეალი-ხეტაფე
ატლეტიკო-რეკრეატივო
ლევანტე-ესპანიოლი
სარაგოსა-დეპორტივო
ბარსელონა-ვალენსია
ოსასუნა-რეალი
ბილბაო-მალიორკა
რასინგი-მურსია

**ტური 36** 07.05.2008

ბეტისი-ვალიადოლიდი
ხეტაფე-ალმერია
რეკრეატივო-ვილიარეალი
ესპანიოლი-ატლეტიკო
დეპორტივო-ლევანტე
ვალენსია-სარაგოსა
რეალი-ბარსელონა
მალიორკა-ოსასუნა
მურსია-ბილბაო
რასინგი-სევილია

**ტური 37** 11.05.2008

ბეტისი-სევილია
ვალიადოლიდი-ხეტაფე
ალმერია-რეკრეატივო
ვილიარეალი-ესპანიოლი
ატლეტიკო-დეპორტივო
ლევანტე-ვალენსია
სარაგოსა-რეალი
ბარსელონა-მალიორკა
ოსასუნა-მურსია
ბილბაო-რასინგი

**ტური 38** 18.05.2008

ხეტაფე-ბეტისი
რეკრეატივო-ვალიადოლ.
ესპანიოლი-ალმერია
დეპორტივო-ვილიარეალი
ვალენსია-ატლეტიკო
რეალი-ლევანტე
მალიორკა-სარაგოსა
მურსია-ბარსელონა
რასინგი-ოსასუნა
სევილია-ბილბაო

რეკრეატივო

## უელვაში მუნიოსი იმუშავებს



ვიქტორ მუნიოსი

გუშინ "რეკრეატივოს" ხელმძღვანელობამ **ვიქტორ მუნიოსი** საზოგადოებას მთავარი მწვრთნელის ამპლუაში წარუდგინა. ცნობილმა ესპანელმა სპეციალისტმა **მარსელინიოს** მიერ გათავისუფლებული თანამდებობა ორი სეზონით დაიკავა. სენიორ მუნიოსმა საგანგებო პრესკონფერენციაზე სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა: *"რეკრეატივოში" დანიშვნა ჩემი სამწვრთნელო კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატებაა. ამ გუნდმა შარშან დაამტკიცა, რომ სწორ გზას ადგას. ხელმძღვანელობას ნდობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. დარწმუნებული ვარ, ჩემი წინამორბედის მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად გავაგრძელებთ და მომავალ სეზონში კიდევ უფრო სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ. მიმაჩნია, რომ "რეკრეატივოს" უეფას თასის საგზურის მოპოვების უნარი შესწევს."*

სარაგოსა

## კოლოჩინი მილიტოს ნაცვლად?

**გაბრიელ მილიტოს** "ბარსელონაში" წასვლის შემდეგ "სარაგოსაში" ვაკანსია გაჩნდა. არაგონული კლუბის ხელმძღვანელები დროის დაკარგვას არ აპირებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ **ფაბრიციო კოლოჩინი** "დეპორტივოდან" უახლოეს დღეებში გადაიბირონ. "სარაგოსის" შეფებმა გალისიელ კოლეგას საკომპენსაციო თანხის სახით, ექვსი მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ **აუგუსტო სესარ ლენდოიროს** ფული ეცოტავება: *"წინააღმდეგი არ ვარ, კოლოჩინი "სარაგოსას" დავუთმოთ, მაგრამ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად რეალურ თანხას შემოგვთავაზებენ. პირდაპირ ვიტყვი, ექვს მილიონად ფაბრიციოს არ შეველევი. ბევრად მეტია საჭირო. დაახლოებით, 11-12 მილიონი."*

არაგონელთა შეთავაზებას თავად კოლოჩინიც გამოეხმაურა. არგენტინელმა ცენტრალურმა მცველმა ღიად და დაუფარავად განაცხადა, რომ "დეპორტივოში" თამაშს "სარაგოსაში" ასპარეზობა ურჩევნია. ცნობილია, რომ სატრანსფერო ციებ-ცხელებისას ფეხბურთელის პოზიციას გადამწვეტი მნიშნელობა აქვს.

მალიორკა

## ბალეარელებმა ვებო შეიძინეს

"მალიორკამ" ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. შედეგად ბალეარელებმა "ოსასუნიდან" **პირ ვებო** გადაიბირეს. აღსანიშნავია, რომ კამერუნელი ფორვარდი კუნძულელთა რიგით მესამე შენაძენია. "მალიორკის" ხელმძღვანელები საკომპენსაციო თანხის სახით, ექვს მილიონ ევროს გადაიხდიან. **გრეგორიო მანსანო** გარიგებით უზომოდ კმაყოფილია: *"ვომე მრავალი წელიწადია პრიმერა დივიზიონში ასპარეზობს. ამ ხნის განმავლობაში მან უდიდესი გამოცდილება შეიძინა. კამერუნელს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია. დარწმუნებული გახლავართ, ის ჩვენს თავდასხმასა და შუახაზს საგრძნობლად გააძლიერებს."*

ვებო უახლოეს დღეებში სამედიცინო შემოწმებას გაივლის. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება აფრიკელი ლეგიონერი ახალ კოლექტივთან ოთხწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. კლუბის მესვეურთა თქმით, სამედიცინო შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მათთვის ცნობილია, რომ პიერს არანაირი სერიოზული ტრავმა არ აწუხებს. აღსანიშნავია, რომ კამერუნელებს "მალიორკაში" შესაძლებლობების გამომჟღავნება არასოდეს უჭირთ. ვებო რიგით მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც ბალეარელთა ღირსებას დაიცავს. მანამდე ამ გუნდში **ლორენ ბისანი, დანიელ კომე** და **სამუელ ეტოო** წარმატებით თამაშობდნენ.

## დელპიერი საოპერაციოა?

ახალი სეზონის წინ სერიოზული დანაკლისი აქვს გერმანიის ჩემპიონ "შტუტგარტს". მუხლის ტრავმის გამო, ამ გუნდს ხანგრძლივი დროით გამოაკლდა ფრანგი მცველი **მატიო დელპიერი**. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მას ოპერაციას გაუკეთებენ.

*"ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, სჭირდება თუ არა დელპიერს ოპერაცია. ექიმები გადაწყვეტილებას დღეს მიიღებენ. მაგრამ უკვე დადგენილია, რომ ფრანგი კარგა ხანი ვერ შეძლებს ვარჯიშს"*, - აცხადებს "შტუტგარტის" პრესატაშე **ოლივერ შრაფტი**.

გასულ სეზონში, დელპიერი "შტუტგარტის" ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო. მან ძირითადში 33 მატჩი ჩაატარა. თუ ფრანგს ოპერაციის გაკეთება მაინც დასჭირდა, მას დაახლოებით 8 კვირით მოუწევს დასვენება.

## კოკოს დანა მოუღერეს

უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა მილანის "ინტერის" ვეტერან მცველს **ფრანჩესკო კოკოს**. მას საკუთარ ბინაში თაყვანისმცემელი ქალბატონი დაესხა თავს.

კოკომ თავის მეგობარ გოგონასთან ერთად ღამე ერთ-ერთ კლუბში გაატარა. როცა ისინი შინ ბრუნდებოდნენ, მათ ფეხბურთელის ერთ-ერთი ფანი აედევნა, გაუსწრო და კოკოს ბინაში შეიპარა. ფრანჩესკო და მისი მეგობარი ერთ-ერთ ოთახში განმარტოვდნენ და ეჭვი არ აუღიათ, რომ მათ ვიღაც უთვალთვალებდა.

ამასობაში, დაუპატიჟებელმა სტუმარმა დანა მოიმარჯვა და კოკოს დაემუქრა. ფეხბურთელმა თავისი რეაქციის წყალობით სწრაფად განაიარაღა თავდამსხმელი, რის შემდეგაც, ეს უკანასკნელი კოკოს მეგობარს გამოეკიდა. საცოდავი ქალი იძულებული გახდა, შიშველს აივანზე გაქცევით ეშველა თავისთვის.

ინციდენტი პოლიციის მოსვლის შემდეგ ამოიწურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# ქალბატონი მზადებას შეუდგა!

## რანიერი ყველაფრით კმაყოფილია

**"იუვენტუსმა" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო - სეზონისთვის, რომელიც "ბებერი ქალბატონისთვის" ალბათ ერთ-ერთი ურთულესი, ყველაზე საინტერესო და დრამატული იქნება. სერია B-ში გატარებულმა ერთმა წელიწადმა ტურინულ გიგანტს ძალიან ბევრი დააკლო და ცხადია, რომ "იუვეს" თითოეული ფეხბურთელი ამ დანაკლისის ანაზღაურებისთვის იბრძოლებს. აბსოლუტურად ყველა მოთამაშე (ახლებიცა და ძველებიც) მაქსიმალურად მოტივირებულია. იგივე ითქმის ახალ მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერიზეც, რომელიც გუშინწინ "იუვეს" დამრიგებლად ოფიციალურად წარადგინეს.**

"იუვე" ტრადიციულად ვინოვოში შეიკრიბა. ახალწვეულებმა ჯერ სამედიცინო შემოწმება გაიარეს, მერე კი ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ. პრესკონფერენციის შემდეგ, **რანიერიმ** გუნდი პირველად ავარჯიშა. მწვრთნელმა არ დამალა კმაყოფილება იმის გამო, რომ ყველა ფეხბურთელი მის განკარგულებაშია. რანიერის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშეს **პაველ ნედვედმა** და **მაურო ხერმან კამორანეზიმაც**, რომელთა საკითხიც დადებითადაა გადაწყვეტილი - შეფებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ორივე მათგანმა გუნდში დარჩენა გადაწყვიტა.

### კლაუდიო რანიერი: ეს არის გუნდი-საიდუმლო!

*"ყველაფრით კმაყოფილი ვარ,"* - სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია რანიერიმ, - *"ფეხბურთელები შვებულებიდან გულანთებულები დაბრუნდნენ, თითოეული მათგანის თვალებში ცეცხლი დავინახე, რაც ძალიან მახარებს. მათ ეტყობათ მუშაობის სურვილი და აშკარად ჩანს, რომ თითოეული მათგანი ძალიან მონდომებულია. ეს კი მწვრთნელისთვის ყოველთვის კარგის ნიშანია - ამაზე უკეთესი რა უნდა ვინატრო? ყველას აინტერესებს, როგორი იქნება ახალი "იუვე". უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველაზე მეტად ეს მე მაინტერესებს! ვიტყოდი, რომ ეს "იუვეს" დიდი საიდუმლოა!"*

კითხვაზე, თუ რა უნდა იყოს ახალი "იუვენტუსის" წარმატების საიდუმლო, "ბებერი ქალბატონის" თავკაცმა ასეთი პასუხი გასცა: *"ამ გუნდის წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო ყოველთვის მეგობრული კოლექტივი იყო. მახსოვს ლიპის "იუვენტუსი" - გუნდი, რომელიც თამაშებს მონდომების, თავდაჯერებისა და გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვის ხარჯზე იგებდა. იმ "იუვენტუსში" მე ყველაზე მეტად სწორედ ეს მომწონდა და მიყვარდა. ახლა მთავარია, რომ გუნდსა და ჩემს შორის, ასევე ფეხბურთელებს შორის, კარგი, მეგობრული კლიმატი შეიქმნას. ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია, წამყვანი ფეხბურთელები გუნდში დარჩნენ. მოვიდნენ ახალი, უმაღლესი კლასის მოთამაშეები. ერთი სიტყვით, სელექციით ძალიან კმაყოფილი ვარ."*

ამის შემდეგ რანიერიმ ინგლისური ტურნეს შესახებ ისაუბრა, რომელიც ივლისის ბოლოს დაიწყება და 7 აგვისტომდე გასტანს: *"მომავალი სეზონი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იქნება სერია A-ს ისტორიაში. თუნდაც იმიტომ, რომ ელიტაში დაბრუნდნენ ისეთი გუნდები, როგორებიც არიან "ნაპოლი" და "ჯენოა". ამიტომაც, მე მინდა, რომ მოსამზადებელ პერიოდში ძლიერი მეტოქეები ვყავდეს. ინგლისში ჩვენ ისეთ გუნდებს ვეთამაშებით, რომლებსაც ნებისმიერი გრანდისთვის პრობლემების შექმნა შეუძლიათ. მეც სწორედ ეს მინდა - მსურს, რომ ტესტ-მატჩებში ყველა მეტოქემ ბევრი პრობლემა შეგვიქმნას."*

### ჟან-კლოდ ბლანი: ხარისხი და გამოცდილება

გენერალურმა მენეჯერმა საუბარი შარშანდელი პერიპეტიების გახსენებით დაიწყო. *"ახლა 2006 წლის 14 ივლისი გამახსენდა - დღე, როცა "იუვენტუსს" სასტიკი განაჩენი გამოუტანეს და სერია B-ში დააქვეითეს. როგორც ხედავთ, ჩვენ მაინც მივაღწიეთ მიზანს და "იუვე" იქ დავაბრუნეთ, სადაც მისი ადგილია. შესაბამისად, დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ,* - განაცხადა **ჟან-კლოდ ბლანმა**, - *ეს "იუვენტუსი" გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავია. თავად განსაჯეთ, გუნდის საშუალო ასაკი 25 წელი გახლავთ. მოვიდნენ ფეხბურთელები, რომლებსაც აქვთ ტექნიკა, გამოცდილება და რომლებიც, უბრალოდ, კარგად თამაშობენ ფეხბურთს. და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდი წარმატებებს მიაღწევს."*

"იუვეს" მენეჯერი, რა თქმა უნდა, ნედვედის საკითხსაც შეეხო. აი, რა განაცხადა მან: *"საფეხბურთო გუნდში ყოველთვის ვნებათაღელვაა ხოლმე. ნედვედმა წონასწორობა არ უნდა დაკარგოს და მომავალზე უნდა იფიქროს. შემთხვევითი სულაც არ გახლავთ ის, რომ ჩვენ ახალ ფეხბურთელებთან ოთხწლიანი კონტრაქტები გავაფორმეთ - უნდა გვქონდეს იმის გარანტია, რომ ისინი გუნდს არ დატოვებენ. პაველთან ძალიან გულახდილი და რაც მთავარია, შედეგიანი საუბარი გვქონდა. ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარეს აკმაყოფილებს. მთავარიც სწორედ ეს იყო. ნედვედმა, დელ პიერომ, ბუფონმა, კამორანეზიმ და ტრეზეგემ "იუვენტუსისთვის" კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი უნდა გააკეთონ!"*

მიუხედავად იმისა, რომ ტურინულმა კლუბმა უკვე ძალიან ბევრი ფეხბურთელი გადაიბირა, ბლანის თქმით, გუნდს ტრანსფერები ჯერ არ დაუსრულებია: *"სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ არაფერი დასრულებულა. ჩვენ უკვე ავაშენეთ ახალი გუნდი და მეც შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ საქმის 98 პროცენტი უკვე გაკეთებულია, მაგრამ ჩვენ ბაზარზე დაკვირვებას ვაგრძელებთ. თუ სარფიანი მომენტი გამოჩნდება, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ."*

### იაკუინტა: იუვეს მაისურას სერია B-შიც სიამოვნებით მოვირგებდი!

*"გასული სეზონი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავლისმომტანი გახლდათ,"* - განაცხადა პრესკონფერენციაზე "იუვეს" ერთ-ერთმა ყველაზე სახელოვანმა ახალწვეულმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **ვინჩენცო იაკუინტამ**, რომელიც ტურინში "უდინეზედან" გადაბარგდა, - *"ჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატი და ტრიუმფი, რომელიც არასდროს დამავიწყდება, მერე ჩემპიონთა ლიგა "უდინეზესთან" ერთად, ახლა კი "იუვენტუსზე" ვლოცულობ. მუნდიალის შემდეგ პროგრესი არ შემიწყვეტია და ახლაც მზად ვარ, რომ ძალები ისეთ დიდ გუნდში მოვსინჯო, როგორიც "იუვეა". ყოველთვის ველოდი, თუ როდის მომეცემოდა დიდ გუნდში თამაშის შანსი, რათა ყველასთვის დამემტკიცებინა, რაც შემიძლია - ეს გუნდი "იუვენტუსი" აღმოჩნდა და არ დაგიმალავთ, "ბებერ ქალბატონში" შარშანაც დიდი სიამოვნებით გადავიდოდი. "იუვეს" სერია B-ში სიამოვნებით ჩავყვებოდი, რადგან ამ გუნდის მაისურით თამაში ნებისმიერი იტალიელი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია. როცა "იუვენტუსში" თამაშობ, არ უნდა მიაქციო ყურადღება იმას, თუ რომელ ლიგაში მოგიწევს ასპარეზობა. ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გამიჭირდება, რადგან თავდასხმაში დიდი კონკურენციაა. მჯერა, რომ დელ პიერო, ტრეზეგე და პალადინო, პირველ რიგში, ჩემი საუკეთესო მეგობრები იქნებიან და მხოლოდ ამის შემდეგ, კონკურენტები."*

რა მიზნები აქვს იაკუინტას ტურინულ კლუბში? *"პროგნოზებს ვერ გავაკეთებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს გუნდი ელიტაში დაბრუნდა, რათა სერია A უკეთესი გახდეს. ჩვენ არავისი არ გვშურს, პირიქით - "იუვენტუსმა" სატრანსფერო ბაზარზე "მილანსა" და "ინტერზე" მეტად იაქტიურა. ამ გუნდებთან თამაშებს მოუთმენლად ველი, ულამაზესი ბრძოლები იქნება!"*

### გრიგერა: რანიერის განკარგულებაში ვარ!

ეს ის ფეხბურთელია, რომელმაც "იუვესთან" კონტრაქტი ჯერ კიდევ თებერვალში გააფორმა. *"ხელშეკრულება მაშინ გავაფორმე, როცა გუნდს სხვა მწვრთნელი ჰყავდა, მაგრამ არა მგონია, რომ ეს პრობლემა იყოს,"* - ამბობს ექს-აიაქსელი გრიგერა, - *"მოკლედ, კლაუდიო რანიერის განკარგულებაში ვარ და მას შეუძლია გამომიყენოს, როგორც საჭიროდ მიაჩნია. ბევრ პოზიციაზე შემიძლია თამაში, უნივერსალურ ფეხბურთელად ვითვლები და სადაც მწვრთნელს დავჭირდები, იქ ვითამაშებ. "იუვე" დიდი გუნდია და მე ბედნიერი ვარ, შავ-თეთრი ფორმის მორგების საშუალება რომ მომეცა. ამ გუნდისთვის მაქსიმუმს გავიღებ!"*

### ალმირონი: აქ იმისთვის ვარ, რომ გავიზარდო!

პრესკონფერენცია კიდევ ერთმა ახალწვეულმა, "ემპოლიდან" გადაბირებულმა **სერხიო ალმირონმა** დაასრულა: *"ასეთ გუნდში მოხვედრაზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. ჩავირიცხე კლუბში, სადაც ჩემზე გაცილებით გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ. სწორედ ამიტომ, ჩემი მიზანია, რომ მათგან ბევრი რამ ვისწავლო. დარწმუნებული ვარ, რომ "იუვენტუსში" მეც დიდ ფეხბურთელად ჩამოვყალიბდები. რაც შეეხება ჩვენს ამბიციებს - გარკვეული დროა საჭირო იმისთვის, რომ გავიგოთ, რა შეუძლია ამ "იუვენტუსს."*

### სალიჰამიჯიჩი: გრძელი გვარი მაქვს? ბრაცო დამიძახეთ!

*"ჩემი გვარი ძალიან გრძელი და რთული წარმოსათქმელია? მაშინ, უბრალოდ, ბრაცო დამიძახეთ - ძმას ნიშნავს,"* - ეს "ბაიერნიდან" უფასოდ გადასული ბოსნიელი ნახევარმცველის, **ჰასან სალიჰამიჯიჩის** პირველი სიტყვები გახლავთ.

*"იუვენტუსი" ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა. "ბაიერნში" 9 წელიწადი გავატარე და ახლა მინდა, რომ ძალები იტალიის ჩემპიონატშიც მოვსინჯო. აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში და ყველა ვარჯიშზე ბოლომდე ვიხარჯები, თავის დაზოგვა არ მჩვევია. ასე იქნება "იუვეშიც". ბევრ პოზიციაზე შემიძლია თამაში და ამიტომაც, რანიერის ბევრი საფიქრალი ექნება. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. ვიცი, რომ ძალიან რთული სეზონი გველის, მაგრამ ამ გუნდს იმიტომაც ჰქვია "იუვენტუსი", რომ ეს სიძნელეები გადალახოს!"* - განაცხადა სალიჰამიჩმა.

### ტიაგო: სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგის საგზური!

*"ეს იქნება ყველაზე საპასუხისმგებლო სეზონი ჩემს კარიერაში და რომ გითხრათ, არ ვნერვიულობ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. ვეცდები, რომ იმედები გავამართლო - "იუვენტუსისთვის" მაქსიმუმს გავიღებ. ამ გუნდს ურთულესი სეზონი ჰქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ პირველი ადგილისთვის ბრძოლა შეგვიძლია. პირადად ჩემი მიზანი იტალიის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებაა. პრობლემას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მომავალ სეზონში ევროტურნირებს მიღმა ვიქნებით. მინდა, რომ ამ გუნდის ისტორიაში შევიდე!"* - ეს "ლიონიდან" ნაყიდი **ტიაგო კარდოსო მენდეშის** სიტყვებია, რომელზეც "იუვეს" ბოსები და გულშემატკივრები უდიდეს იმედებს ამყარებენ.

### იუვენტუსი 2007/08

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი, ემანუელე ბელარდი, ჯეს ვანსტრატენი.

**მცველები:** ალესანდრო ბირინდელი, ჯონათან ძებინა, ჯორჯო კიელინი, ნიკოლა ლეგროტალიე, ჟან ალენ ბუმსონგი, ზდენეკ გრიგერა, დომენიკო კრიშიტო, კრისტიან მოლინარო, ფელიპე პიკოლო.

**ნახევარმცველები:** მაურო კამორანეზი, ჰასან სალიჰამიჯიჩი, მარკო მარკიონი, კრისტიანო ძანეტი, კლაუდიო მარკიზიო, ჯულიანო ჯანიკედა, ტიაგო, სერხიო ალმირონი, პაველ ნედვედი, მანუელ ბლაზი, ალესიო ტაკინარდი, რუბენ ოლივერა.

**თავდამსხმელები:** ალესანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე, ვინჩენცო იაკუინტა, რაფაელე პალადინო, მარსელო სალაიეტა, ტომაშ გუზმანი.

*P.S. შემადგენლობაში შეყვანილი არ არის* ***ჟორჟე ანდრადე****, რომელიც ოფიციალურად "იუვეს" ფეხბურთელი ჯერ არ გამხდარა.*

**გოტფრიდ ლენცი**



რანიერი და პაველ ნედვედი



ტიაგო



ჰასან სალიჰამიჯიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი

# იგივე ფინალი ორი წლის შემდეგ

## არგენტინას შესანიშნავი შანსი მიეცა, რომ ძველი წყენის გამო შური იძიოს

**არგენტინა–მექსიკა 3:0**

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გაბრიელ მილიტო, ჰაინცე, ვერონი (78. გაგო), მასკერანო, კამბიასო, რიკელმე (86. აიმარი), მესი, ტევესი (78. პალასიო).

**მექსიკა:** სანჩესი, კასტრო, მარკესი, მეგელიონი, პინტო, არსე, ტორადო (46. მედინა), კორეა (83. პინედა), გარდადო, კაჩო (46. ბრავო), კასტილიო.

**გოლები:** 1:0. ჰაინცე (45), 2:0. მესი (50), 3:0. რიკელმე (66-პენ).

როგორც მოსალოდნელი იყო, არგენტინის ნაკრები ფინალში გავიდა. მათი გამარჯვების გამო გულშემატკივრები კოპა ამერიკის გადამწყვეტ დაპირისპირებაში იმავე წყვილს იხილავენ, რომელმაც ორი წლისწინანდელ ფინალში იასპარეზა. ერთი სიტყვით, სამხრეთი ამერიკის ჩემპიონატის სცენარი საუკეთესო კუთხით წარიმართა და ტურნირს აშკარად საუკეთესო გუნდები შემორჩნენ. ყოველ შემთხვევაში, ქომაგებისთვის არგენტინისა და ბრაზილიის დაპირისპირების ხილვა ურიგო და უინტერესო არ უნდა იყოს.

ნახევარფინალამდე მიმავალი გზა "ალბისელესტემ" და მექსიკის ეროვნულმა გუნდმა დამაჯერებლად განვლეს. ეს, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, არგენტინაზე ითქმის. **ალფიო ბასილეს** შეგირდებმა უკლებლივ ყველა შეხვედრა მოიგეს, ჯგუფურ სტადიაზე მათ ქულაც არ დაუკარგავთ. ნახევარფინალის წინ სპეციალისტები სამხრეთამერიკელებს უპირობო ფავორიტებად მიიჩნევდნენ, თუმცა თავად ბასილე პროგნოზების გაკეთებას გაურბოდა და აცხადებდა, რომ მათ უძლიერესი მეტოქე ელოდათ. მექსიკა ამ ტურნირზე მართლაც ძალიან სიმპათიური გუნდით წარდგა, მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ "ალბისელესტე" მათზე გაცილებით ძლიერია. შეგახსენებთ, ამ გუნდების ბოლო სამუნდიალო დაპირისპირება ასევე არგენტინელთა გამარჯვებით დასრულდა.

**უგო სანჩესი**, რა თქმა უნდა, აცნობიერებდა, რომ მონინაალმდეგისთვის ფრთხილი ტაქტიკა და დახურული ფეხბურთი უნდა დაეპირისპირებინა. სახელგანთქმული ფორვარდის სტრატეგიამ მხოლოდ 45 წუთის განმავლობაში იმუშავა. პირველი ტაიმის ბოლო წამებიდან მოყოლებული კი მექსიკელების ყველა გეგმამ კრახი განიცადა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე **ხუან რომან რიკელმემ** საჯარიმო გაათამაშა. მან კარის სიახლოვეს მყოფ **გაბრიელ ჰაინცეს** ჩინებული პასი გაუკეთა. "მანჩესტერის" მცველმა ერთი შეხებით დაარტყა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში ულამაზესი გოლი ვიხილეთ. **ლეო მესი** ნამდვილი გენიოსია. "ბარსელონის" ახალგაზრდა ფორვარდმა დაუჯერებელი ოსტატობის დარტყმით **ოსვალდო სანჩესს** ბურთი თავზე გადაუგდო და საკუთარი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა. დაახლოებით 15 წუთში მექსიკელებმა რიკელმე საკუთარ საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერეს. 11-მეტრიანი თავად ხუან რომანმა გაიტანა. ბასილემ წინა მატჩებისგან განსხვავებით **კარლოს ტევესი** ძირითად შემადგენლობაში დააყენა. მან **დიეგო მილიტოს** ადგილი დაიკავა. კარლიტო ძალიან აქტიური იყო, მაგრამ თავის გამოჩენა ვერ შეძლო.



მესიმ მორიგი შედევრი გვიჩვენა

სენიორ ალფიო ბასილე, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დარჩა. ყველაზე მეტად ის მესის გოლით მოიხიბლა: *"ასეთი ბურთების გატანა მხოლოდ გენიოსებს ხელეწიფებათ. ლეო კი ნამდვილი გენიოსია. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა დავინახე რაც გააკეთა. ფანტასტიკური ბიჭია. უდავოა, რომ მას წინ უდიდესი, ფენომენალური მომავალი ელის. მიხარია, რომ მესისა და გუნდის დანარჩენი ფეხბურთელების თავდაუზოგავი ძალისხმევის ფასად ფინალში გავედით. ჩვენი ბოლო მეტოქე ბრაზილია იქნება. წინა კოპა ამერიკაზე "სელესაომ" "ალბისელესტე" პირწმინდად დაამარცხა. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს და ახლა უკვე ჩვენ ვიზეიმოთ. ვფიქრობ, საამისო უნარი აშკარად შეგვწევს. ჩემი ბიჭები უაღრესად მოტივირებულები არიან. მექსიკელებს გულწრფელად თანავუგრძნობ. მათ ჩინებული გუნდი ჰყავთ. ფინალში თამაშსაც იმსახურებდნენ, მაგრამ დღეს ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით და მომდევნო ეტაპზე სრულიად დამსახურებულად გავედით."*

ბუნებრივია, უგო სანჩესს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა დაეუფლა: *"სამწუხაროდ, მეტი ვერ შევძელით. რამდენჯერმე ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ბიჭები კოპა ამერიკაზე ძალიან დაღლილები ჩამოვიდნენ. ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კონკაკაფის ფინალში ამერიკას ვეთამაშეთ. სხვადასხვა მიზეზის გამო ვენესუელის სტადიონებზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. ნახევარფინალში დამარცხებით ძალიან გულდაწყვეტილი გახლავართ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ბიჭების თავდადებითა და თამაშით კმაყოფილი დავრჩი. მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. იმედი მაქვს, მექსიკური პრესა სამართლიანად განგვსჯის. არ მინდა, რომ ფეხბურთელების შრომა ჯეროვნად დაუფასებელი დარჩეს. ვიცი, ხალხი ჩემპიონის ტიტულზე ოცნებობდა, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ რისი გაკეთებაც შეგვეძლო. ამ ეტაპზე მეტს უბრალოდ ვერ მივაღწევდით. არგენტინა უაღრესად ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა."*

■ ■ ■

ჩილეს ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრი სანქციები გამოუტანა ნაკრების იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც კოპა ამერიკის მსვლელობის დროს, რეჟიმი დაარღვიეს.

კერძოდ, 20-მატჩიანი დისკვალიფიკაციით (იგულისხმება სანაკრებო შეხვედრები) დაისაჯა ექვსი ფეხბურთელი: კაპიტანი **ხორხე ვალდივია, ალმარო ორმენიო, როდრიგო ტელო, ხორხე ვარგასი, პაბლო კონტრერასი** და **რეინალდო ნავია**.

ასეთი მკაცრი სასჯელი ბრაზილიასთან მეოთხედფინალის (1:6) წინ მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია, რომლის დეტალებსაც ფედერაციის ჩინოვნიკები არ ახმაურებენ. თუმცა ჩილეს სპორტული გაზეთები წერენ, რომ ფეხბურთელები ლოთობისთვის დაისაჯნენ.

გარდა 20-მატჩიანი დისკვალიფიკაციისა, ჩამოთვლილი მოთამაშეები არ მიიღებენ კოპაზე გამოსვლისთვის განკუთვნილ ფულად ბონუსებს.

სამშობლოში დაბრუნებულ ჩილეს ნაკრებს გულშემატკივრები სტვენით შეხვდნენ. ერთ-ერთი დასჯილი ფეხბურთელი ალვარო ორმენიო ფედერაციის გადაწყვეტილებაზე ასეთ კომენტარს აკეთებს: *"უნდა დაგარწმუნოთ, რომ არაფერი აკრძალული არ ჩამიდენია. არ დამილევია და სასტუმროს ტერიტორია არ დამიტოვებია".*

---

ინტერტოტოს თასი

# ლეგია მკაცრად დაისაჯა

## ორი წელიწადი ევროთასების გარეშე

გასულ უიქ ენდზე, ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ლიტვის "ვეტრასა" და პოლონეთის "ლეგიის" დაპირისპირებამ. ოღონდ არა თამაშის მაღალი ხარისხის, არამედ მატჩის შესვენებისას მომხდარი სკანდალის გამო.

ლიტველები პირველი ტაიმის შემდეგ 2:0 იგებდნენ, როცა ვილნიუსში ჩასული პოლონელი გულშემატკივრები მინდორზე გადავიდნენ და ნამდვილი ომი გაუმართეს პოლიციას. ამის შედეგად, ერთი პოლიციელი დაშავდა, ხოლო ასამდე ქომაგმა საპყრობილეში ამოყო თავი.

უეფამ გუშინ განიხილა ეს ინციდენტი და პოლონურ კლუბს მკაცრი სასჯელი გამოუტანა. "ლეგია" ინტერტოტოს წლევანდელი გათამაშებიდან მოიხსნა და გარდა ამისა, ის ვერც გაისად მიიღებს მონაწილეობას ევროტურნირებზე. ამას ემატება ისიც, რომ ვარშაულმა კლუბმა 10 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს შესაბამისი თანხა, მისი გულშემატკივრების მიერ დაზიანებული სტადიონის გასარემონტებლად.

ასე რომ, ამ წყვილში განმეორებითი შეხვედრა აღარ გაიმართება. "ლეგიას" ტექნიკური ნაგება (0:3) ჩაეთვალა, ხოლო "ვეტრა" ინტერტოტოს მომდევნო ეტაპზე ინგლისურ "ბლექბერნს" დაუპირისპირდება.

---

ინტერტოტოს თასი

# ეინდჰოვენის ორი გარიგება

## პერესი აიაქსიდან პსვ-ში წავიდა

ჰოლანდიის ჩემპიონმა "ეინდჰოვენმა" ერთი დღის განმავლობაში ორი ტრანსფერი სრულყო.

დანიელი ფორვარდი **კენეტ პერესი** მომდევნო ორი წელიწადი პსვ-ს რიგებში ითამაშებს. კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც "აიაქსის" ყოფილ ფეხბურთელს კიდევ ერთი სეზონით შეეძლება "ეინდჰოვენის" რიგებში დარჩენა. კონტრაქტის სხვა დეტალები არ გახმაურებულა. დღეს, პერესი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და შემდეგ კონტრაქტსაც მოაწერს ხელს.

გასულ სეზონში, პერესმა "აიაქსის" რიგებში 27 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა, თუმცა შეხვედრების ძირითად ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ამსტერდამულ კლუბამდე, კენეტი შვიდი სეზონი "ალკმაარის" რიგებში თამაშობდა.

გარდა ამისა, გუშინ, "ეინდჰოვენმა" "ჩელსისთან" დადებული ხელშეკრულებაც გაახმოვანა. კერძოდ, ჰოლანდიელებმა ლონდონური კლუბიდან ერთწლიანი არენდით აიყვანეს სერბეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, 18 წლის **სლობოდან რაიკოვიჩი**. ეს ფეხბურთელი "ჩელსიმ" 2005 წელს შეიძინა, ბოლო სეზონი კი მან ბელგრადის ოფკში ჩაატარა.

---

### გონსალესი პორტუში გადავიდა

"პალერმოს" არგენტინელი ნახევარმცველი **მარიანო გონსალესი** კარიერას პორტუგალიაში გააგრძელებს.

TMW-ის ცნობით, ეს ფეხბურთელი "პორტუში" ერთწლიანი არენდით გადავიდა. პორტუგალიის ჩემპიონს ეს გარიგება 1 მილიონი ევრო დაუჯდა.

### კრისი ლიონში რჩება

"ლიონის" პრესსამსახურის ინფორმაციით, საფრანგეთის ჩემპიონთან ერთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება ბრაზილიელმა მცველმა **კრისმა**. მოქმედი კონტრაქტის გათვალისწინებით, ეს ფეხბურთელი "ლიონში" 2010 წლის ზაფხულამდე დარჩება.

ფრანგული პრესა ვარაუდობს, რომ ახალ სეზონში სწორედ კრისი უნდა გახდეს "ლიონის" კაპიტანი. ამ საპატიო მისიას ბრაზილიელი თანამემამულე **ჟუნინო პერნამბუკანოსგან** გადაიბირებს, რომელმაც უარი განაცხადა კაპიტნის მოვალეობების შესრულებაზე.

### ბეიტსმა ლიდსი იყიდა

ინგლისელმა ბიზნესმენმა **კენ ბეიტსმა** საფეხბურთო კლუბი "ლიდს იუნაიტედი" შეიძინა. ლონდონის "ჩელსის" ყოფილი მფლობელი ახალ მეპატრონედ მას შემდეგ მოგვევლინა, რაც წინა მფლობელმა, კომპანია KPMG-მა "ლიდსის" გაყიდვა გადაწყვიტა. BBC-ის ინფორმაციით, უცნობი რჩება თანხა, რომელიც ბეიტსმა ინგლისის პირველ ლიგაში გავარდნილი გუნდის სანაცვლოდ გადაიხადა.

*"ბიზნესმენებისგან რამდენიმე განაცხადი მივიღეთ, დაწვრილებით განვიხილეთ ისინი და საბოლოოდ, კლუბი ბეიტსმა ჩაიბარა. ეს გარიგება კრედიტორებისთვისაც მომგებიანი იქნება და კლუბისთვისაც"*, - ამბობს "ლიდსის" მმართველი **რიჩარდ ფლემინგი**.

### კეჟმანმა ფენერბაჩე აირჩია

თურქული პრესის ინფორმაციით, სერბეთის ნაკრების ფორვარდმა **მატეა კეჟმანმა** კლუბის გამოცვლა არ ისურვა და ის მომავალ სეზონშიც "ფენერბაჩეს" ღირსებას დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ ამ თავდამსხმელის შეძენით ყველაზე მეტ აქტიურობას მოსკოვის "სპარტაკი" იჩენდა. გარდა ამისა, კეჟმანით "ინტერი", "იუვენტუსი" და "სარაგოსა" იყვნენ დაინტერესებულნი.

*"ფენერბაჩეს" დატოვება არც კი მიფიქრია"*, - განაცხადა გაზეთ Fanatik-სთვის მიცემულ ინტერვიუში თურქეთის ჩემპიონის ფორვარდმა.

### უდინეზემ დი ნატალე შეინარჩუნა

იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა **ანტონიო დი ნატალემ** "უდინეზესთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა.

ამ ზაფხულს, ხშირად ვრცელდებოდა ჭორი იმის შესახებ, თითქოს დი ნატალე "რომაში" გააგრძელებდა კარიერას, მაგრამ ნახევარმცველმა თავის ამჟამინდელ კლუბში დარჩენა ამჯობინა.

*"ახალ კონტრაქტს მას შემდეგ მოვაწერე ხელი, როცა მივხვდი, რომ ჩვენთან ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება სურთ. პრეზიდენტმა რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიძინა, შესანიშნავი მწვრთნელიც დაგვინიშნა. ყველაფერი ეს ოპტიმისტურ განწყობას მმატებს"*, - ამბობს დი ნატალე.

### ბაიერმა ტალანტი იპოვნა

ბულგარეთის "ლევსკის" თავდამსხმელი **ათანას კურდოვი** "ლევერკუზენში" გადავიდა. UEFA-ს ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ახალგაზრდა ბულგარელმა "ბაიერთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ლევერკუზენელი სკაუტები კურდოვით "ლევსკის" იუნიორთა გუნდის მატჩების ხილვისას მოიხიბლნენ. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელს ბულგარული კლუბის პირველ შემადგენლობაში ჯერ ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, მაგრამ უკვე აღიარებულია ბულგარული ფეხბურთის მთავარ იმედად.

### ვალიადოლიდის პირველი ტრანსფერი

პრიმერა დივიზიონში ალზევებულმა "ვალიადოლიდმა" ამ ზაფხულს პირველი ტრანსფერი სრულყო. კერძოდ, ერთი წლით არენდით აიყვანა ფრანგი მეკარე **ლუდოვიკ ბუტელი**.

24 წლის გოლკიპერი "ვალენსიის" საკუთრებაა, მაგრამ ბუტელი ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ იმკვიდრებს.

ასევე ცნობილი ხდება, რომ "ვალიადოლიდმა" ერთი წლით გაუგრძელა კონტრაქტი ვეტერან მეკარეს, 38 წლის **ალბერტო ლოპესს**.

### ლუკარელი არჩევანის წინაშეა

იტალიის "ლივორნოს" ფორვარდი **კრისტიანო ლუკარელი** მცირეხნიანი ვიზიტით უკრაინაში იმყოფებოდა, სადაც თავის აგენტთან ერთად დონეცკის "შახტარის" წარმომადგენლებს შეხვდა. უკრაინული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ** პირადად დაურეკა ფეხბურთელს და ის უკრაინის სუპერთასის მატჩზე დაპატიჟა.

"ლივორნო" თავის ფორვარდში 9 მილიონ ევროს ითხოვს და როგორც ჩანს, უკრაინული მხარე მზად არის ამ პირობის დასაკმაყოფილებლად, ოღონდ მთავარი პრობლემა ისაა, რომ თავად ლუკარელი არ არის მოხიბლული უკრაინაში გადაბარგების პერსპექტივით. ამიტომაც, ეს ტრანსფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

### ფლუმინენსედან ზაგრების დინამოში

ბრაზილიელი ფეხბურთელით ძლიერდება ზაგრების "დინამო". ხორვატიის ჩემპიონმა 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა "ფლუმინენსეს" თავდამსხმელ **ოსმარ ფერეირა ჟუნიორთან**.

20 წლის ფეხბურთელი "დინამოში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

### ინგლისი ვილჰელმსონზე ნადირობს

პრემიერლიგის სამი კლუბი აცხადებს პრეტენზიას შვედ ნახევარმცველ კრისტიან ვილჰელმსონზე. "ნანტის" ნახევარმცველმა ბოლო სეზონი არენდით "რომაში" გაატარა, რის შემდეგაც გამოაცხადა, რომ მას ფრანგული კლუბის დატოვება სურს, რადგან ეს უკანასკნელი პრემიერდივიზიონიდან გავარდა.

ვილჰელმსონის სატრანსფერო თანხა დაახლოებით 2 მილიონ ფუნტს უდრის. როგორც Sky Sports იტყობინება, შვედი ფეხბურთელის მიმართ ინტერესი "მიდლსბრომ" და "მანჩესტერ სიტიმ" დაადასტურეს.

*"ჩვენ ოთხ გუნდთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. აქედან სამი, პრემიერლიგის ბინადარია"*, - ამბობს ფეხბურთელის აგენტი **ფაბიო ალიო**.

## ფეხბურთი

### დოს სანტოსი სტრასბურგშია

33 წლის ბრაზილიელი მცველი **მანუელ დოს სანტოსი** "სტრასბურში" გადავიდა. ეს ფეხბურთელი "მონაკოში", "მონპელიეში", "მარსელსა" და "ბენფიკაში" თამაშით არის ცნობილი.

დღეს, დოს სანტოსი ოფიციალურად გააფორმებს "სტრასბურთან" ორწლიან ხელშეკრულებას.

### ვერპაკოვსკისი ხორვატიაში წავიდა

UEFA-ს ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ლატვიის ნაკრების ფორვარდი **მარის ვერპაკოვსკისი** მომავალ სეზონში სპლიტის "ჰაიდუკში" ითამაშებს.

ეს ფეხბურთელი კიევის "დინამოს" ეკუთვნის, ხოლო ხორვატულ კლუბში არენდის წესით გადავიდა.

### უკრაინამ პრიზები დაარიგა

გუშინ, ოდესაში უკრაინის გასული საფეხბურთო სეზონის ლაურეატები დაასახელეს. წლის მწვრთნელად კიევის "დინამოს" დამრიგებელი **ანატოლი დემიანენკო** აღიარეს. ამ სპეციალისტმა კიეველთა გუნდს ქვეყნის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა.

გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად "შახტარის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ფრანსელინო მათუსალემი** დაასახელეს. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი "ხარკოვის" ფორვარდმა **ალექსანდრ გლადკიმ** მიიღო, ხოლო "პატიოსანი თამაშის" პრიზი კიევის "დინამოს" ერგო.

### პორტსმუთი წინა ხაზს აძლიერებს

შეტევის ხაზში მნიშვნელოვანი შევსება მიიღო "პორტსმუთმა". ამ გუნდის რიგებში ჩაირიცხა "პრესტონის" ფორვარდი **დევიდ ნაჯენტი**. 22 წლის თავდამსხმელმა უკვე მოასწრო ინგლისის ნაკრებში თამაში და იქ ერთი გოლის გატანა. ნაჯენტში "პორტსმუთმა" 6 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

კლუბის მეორე შენაძენი კი, "რენის" ნიგერიელი ფორვარდი **ჯონ უტაკა** გახდა.

### საფრანგეთმა ამხანაგური დანიშნა

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, 16 ნოემბერს ქვეყნის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს მაროკოს ეროვნულ გუნდთან. სწორედ ამ შეხვედრაში მოემზადებიან "სამფეროვნები" ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურისთვის, რომელიც 21 ნოემბერს, უკრაინაში ამ ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ გაიმართება.

### ბელარუსებს პეტრჟელა სურთ

სულ მალე, ბელარუსის ნაკრებს შესაძლოა უცხოელი სპეციალისტი ჩაუდგეს სათავეში. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ჩეხ სპეციალისტ **ვლასტიმილ პეტრჟელასთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს.

ეს სპეციალისტი ბოლო წლებში სანქტპეტერბურგის "ზენიტს" ავარჯიშებდა, ახლა კი, დროებით უმუშევარი გახლავთ.

### რიკარდო ბეტისის კარში ჩადგება

გუშინ, ოფიციალურად დადასტურდა, რომ პორტუგალიის ნაკრების ძირითადი მეკარე **რიკარდო** "ბეტისში" გააგრძელებს კარიერას.

31 წლის გოლკიპერმა სევილიურ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

შეგახსენებთ, რომ აქამდე რიკარდო ლისაბონის "სპორტინგის" მეკარე იყო.

### მაკაის პირველი როტერდამული დუბლი

თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა **როი მაკაიმ**. როგორც იცით, ეს ფეხბურთელი წელს "ფეიენოორდში" გადავიდა. ოთხშაბათს, როტერდამულმა კლუბმა სპარინგპარტნიორად "ლირა" აირჩია და ის 8:0 გაანადგურა.

"ბაიერნის" ყოფილმა ფორვარდმა ამ მატჩში დუბლი შეასრულა, ჰეთ-თრიკით გამოირჩა **ჯონათან დე გუსმანი**, ხოლო კიდევ ერთი დუბლი **ანდველე სლორიმ** მიითვალა. აღსანიშნავია, რომ რვიდან შვიდი გოლი, "ფეიენოორდმა" პირველ ტაიმში გაიტანა.

### გი რუ კარიერას გააგრძელებს

ლეგენდარულ ფრანგ სპეციალისტს **გი რუს** მწვრთნელობის უფლება დაუბრუნეს. საფრანგეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა "ლანსის" მთავარ მწვრთნელს მუშაობის გაგრძელების ნება დართო. დღეს, კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას ოფიციალურ სახეს მისცემს ქვეყნის პროფესიული საფეხბურთო ლიგა.

გი რუს საფეხბურთო ლიგასთან პრობლემები ამ ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესის გამო შეექმნა. როგორც ირკვევა, ლიგის დებულებაში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც 65 წელს გადაცილებულ პიროვნებას მწვრთნელად მუშაობის უფლება არ აქვს. გი რუ კი, 68 წლის გახლავთ.

### გუარდადო დეპორტივოს დარჩა

ლა კორუნიის "დეპორტივომ" ნიჭიერი მექსიკელი ნახევარმცველი **ანდრეს გუარდადო** შეიძინა. ამ 20 წლის ფეხბურთელში, ესპანურმა კლუბმა მექსიკის "ატლასს" 7 მილიონი ევრო გადაუხადა.

ეს ტრანსფერი ცოტათი გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითქმის გადაწყვეტილი იყო გუარდადოს "ეინდჰოვენში" გადასვლის საკითხი.

გუარდადო მექსიკის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე თამაშობს. ამ გუნდს შაბათს მესამე ადგილისთვის მატჩი ელის ურუგვაის ნაკრებთან.

### პარმამ სამი კაცი დაიტოვა

"პარმამ" მომავალი სეზონისთვის სამი ფეხბურთელი შეინარჩუნა. გაისად ამ გუნდში ითამაშებენ ნახევარმცველები **ლუკა ჩიგარინი** და **დანიელე დესენა** და თავდამსხმელი **იგორ ბუდანი**.

ამ მოთამაშეებთან უკვე გაფორმდა ახალი კონტრაქტები, რომელიც 2012 წლამდე იქნება ძალაში.

### ლიონს ჟუნინიო დაემტვრა

12-21 ივლისს, სამხრეთ კორეაში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელსაც მშვიდობის თასი ეწოდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ "ლიონი", "უდინეზე", "რედინგი", "ბოლტონი", "სეონგნამი" (კორეა), "შიმიცუ" (იაპონია), "ჩივასი" (მექსიკა) და "რივერ პლეიტი" (არგენტინა).

როგორც გაირკვა, აზიაში ვერ გაემგზავრება "ლიონის" ფლეიმეიქერი **ჟუნინიო პერნამბუკანო**. მან ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მარჯვენა ფეხი დაიზიანა და მკურნალობისთვის ორი კვირა დასჭირდება.

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## მშვილდოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი

### პეკინის ორი ლიცენზია

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოდან მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოდიოდა, რადგან ფედერაციამ ვაჟთა გუნდის წაყვანა მიზანშეუწონლად მიიჩნია. საკვალიფიკაციო ეტაპი სამივე ჩვენებურმა წარმატებით გაიარა და ფლეი ოფში გავიდა - ნარიმანიძე 1309 ქულით 36-ე იყო, ესებუა - 1307-ით 38-ე, **ასმათ დიასამიძე** კი 1276 ქულით 68-ზე დარჩა.

ფლეი ოფში შეხვედრილ მეტოქეთაგან ნარიმანიძეს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა სხვებზე სუსტმა გაუწია - პირველივე წრეში დამატებითი სერია დასჭირდა ბელგიელ **სილვია გაისკენსთან**. ძირითადი ფრედ დამთავრდა - 99:99, მაგრამ დამატებითში ნარიმანიძეს ბევრად მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და მეტოქე 10:6 დაამარცხა. როგორც ვივარაუდეთ, მეორეში მართლაც იტალიელ **პია კარმენ ლიონეტის** გადაეყარა, ვისთანაც წლეულს ვარეზეს მსოფლიო თასზე წააგო. მოლოდინისამებრ, იტალიელი მართლაც სერიოზული მეტოქე გამოდგა, მაგრამ ნარიმანიძემ რევანში აიღო და ერთადერთი ქულით მოუგო - 102:101. ძლიერი კონკურენტი შეხვდა მესამეშიც - საკვალიფიკაციოში მეოთხეზე გასული იაპონელი **ნამი ჰაიაკავა**. შესარჩევის მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ იაპონელი აქამდე რაიმე განსაკუთრებული შედეგებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ საკვალიფიკაციოში უდავოდ ძალზედ წარმატებით ისროლა და მარაქაშიც გაერია. საბედნიეროდ, ნარიმანიძესთან მიზანმა გვარიანად უმტყუნა და ჩვენებურმა 107:104 იმარჯვა, მერე ფრანგ **სოფი დოდემონტს** 105:101 აჯობა და მეოთხედფინალში გავიდა. სამწუხაროდ, მედლისკენ მისი წინსვლა აქ შეაჩერა ამერიკელმა **ჯენიფერ ნიკლოშმა** - ჩვენებურმა 107:110 წააგო და მეხუთეზე დარჩა, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი წარმატებაა.



ქრისტინე ესებუა

ფლეი ოფი ჩინებულად დაიწყო ესებუამ - კვიპროსელი **ელენა მოუსიკოუ** 106:96 გაანადგურა. მერე რუსთა დებიუტანტი **ვიქტორია დუბანოვა** დამატებითში 9:8 დაამარცხა (ძირითადი 105:105 დამთავრდა), მაგრამ ეს მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა - მესამე ორთაბრძოლა ტაივანელ **ჩიაო ჩუნ შენთან** 94:107 წააგო.

სამწუხაროდ, პირველივე წრეში წააგო დიასამიძემ - ავსტრიელ **იანე ვალერთან** 95:105.

ამდენად, ჩვენთვის ეგზომ წარმატებული პირადი პირველობა უკვე დამთავრდა, დღეს კი გუნდურის ტურნირია. შეგახსენებთ, რომ იქ ჩვენები პირველ წრეში პოლონელებს ხვდებიან.

## სროლა

ევროპის ჩემპიონატი

### სალუქვაძე მერვე ადგილზე

ესპანურ გრანადაში დამთავრდა ევროპის პირველობა პნევმატური პისტოლეტით სროლაში, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ **ნინო სალუქვაძე** გამოდიოდა და მერვე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ნინო ფინალშიც მერვე შედეგით შევიდა. მან საკვალიფიკაციო ტურნირში 579 ქულა დააგროვა. შვეიცარიელ **სანდრა კოლისა** და რუს **გალინა ბელიაევასაც** ამდენი ჰქონდათ , მაგრამ ჩვენებური მათ ბოლო სერიის მაჩვენებლით ჩამორჩა.

სამწუხაროდ, სალუქვაძემ ფინალში მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება ვერ შეძლო. პირიქით, მისი 196.7 ფინალურ მაჩვენებელში მხოლოდ ბულგარელ **ირენა ტანოვას** შედეგზე - 196.1 უკეთესი აღმოჩნდა. საბოლოოდ ჩვენებურმა ჯამში 775.7 დააგროვა და, როგორც გითხარით, მერვე ადგილზე დარჩა.

ტურნირი კი სენსაციურად დასრულდა, ჩემპიონი ალბანელი **ლინდიტა კოდრა** გახდა. მან საკვალიფიკაციო ეტაპი 584 ქულით დაასრულა და მხოლოდ ბულგარელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონი **მარია გროზდევას** ჩამორჩა. ისიც - დამატებითი მაჩვენებლებით და არა ქულებით. სამაგიეროდ, ფინალში გროზდევამ ოდნავ წაიფორხილა - 199.1 გააკეთა, ალბანელი კი შესანიშნავად ისროლა და 203.4 დააგროვა. ცხადია, იგი მიუწვდომელი იყო - ჯამში 787.4 დააგროვა და ღირსეულად მოიპოვა ოქროს მედალი. გროზდევამ ვერცხლიც დაკარგა, რადგან ფინალში გერმანელმა მსოფლიო ჩემპიონმა **მუნკბაიარ დორჯსურენმაც** გაუსწრო - 200.8 ქულა, ამას საკვალიფიკაციოს 583 დაემატა და საბოლოოდ 783,8 ქულით ვერცხლს დაეუფლა. გროზდევას ბრინჯაო ერგო - 783,1.

ეს ალბანელისთვის პირველი სერიოზული მიღწევაა. არადა, რამდენიმე წლის წინათ მან და კიდევ ერთმა მისმა თანაგუნდელმა ასევე ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლ-ბრინჯაო ირგუნეს, მაგრამ დოპინგზე ჩავარდნენ და მედლები ჩამოერთვათ. მაშინ ამ დისკვალიფიკაციით სალუქვაძემაც იხეირა - ბრინჯაო გადაეცა.



ნინო სალუქვაძე

უახლოეს დღეებში გრანადაში მესტენდურთა ევროპის ჩემპიონატიც დაიწყება. მასში მონაწილეობისთვის ამ დილით თბილისიდან მაია გუბიევა გაფრინდა, 16-ში კი ვაჟთა ნაკრებიც გაემგზავრება - დავით ქვათაძე, გივი შენგელია და პავლე ლაკია.

ირაკლი თავაძე



### აკადემიის დასაცავად

ტელევიზიამ ხმა ყველგან მიაწვდინა - სპორტის აკადემიის დამოუკიდებლობის დასაცავად თბილისს მოაშურა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამჟამინდელმა თუ ყოფილმა სტუდენტებმა. გუშინ, დილიდან შეუერთდნენ ისინი აკადემიის წინ შეკრებილთ, მშვიდობიანი ფორმით ყველამ ერთად გამოხატა შეშფოთება დიდი და საამაყო ტრადიციების ამ უმაღლესი სასწავლებლის ბედის გამო. თავყრილობაზე, რომელიც სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ იყო ორგანიზებული, სტუდენტთა გარდა, სხვებიც იწევდნენ მიკროფონისკენ. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, აკადემიის კურსდამთავრებულმა **ლევან თედიაშვილმა** ისიც თქვა, რომ თუ ამ შენობის გაყიდვა აუცილებელია, თავად ვეტერანი სპორტსმენები შეიძენენ. მიკროფონიდან გაისმა ისიც, რომ კარატისტები, ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოდიან როგორც აკადემიის, ისე საქართველოს სახელით, ეროვნული დროშით და თუ აკადემია გაუქმდება, ისინი აღარ იასპარეზებენ საქართველოს სახელით, რასაც სხვებსაც მოუწოდებენ. არა, ეს არ იყო სამაგიეროს მიზღვისთვის ნათქვამი, უფრო დაფიქრებისკენ მოუწოდებს ყველას.

მერე შეკრებილებმა, ხელიხელჩაჭიდებულებმა შემოუარეს დედააკადემიას და ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტებით ფეხით გაეშართნენ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსკენ, ეროვნული დროშებით და ტრანსპარანტებით. სამინისტროდან მათ არავინ გამოხმაურებია.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## რაგბი

საქართველოს თასი

# კვირის თავზე გაირკვევა



ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ყოჩები-უნივერსიტეტი 19:18**

ყოჩები: (15-9) დადაშიანი, გეგენავა, გრძელიშვილი, ადანაია, ნიჟარაძე, გაბუნია (ჯოხაძე 46), მახარაშვილი; (1-8) ასეიშვილი, კიკნაველიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი (ჩოჩიშვილი 35), არჩუაშვილი, ბრეგვაძე, კობაური, დგებუაძე (კუჭუხიძე 68) - *3ლ (გეგენავა, 2 საჯარიმო), 2გ (დადაშიანი)*

უნივერსიტეტი: (15-9) კავთიძე (კაკალაძე 78), ფერაძე (ნიკლაური 56), გოგიშვილი, ნუცუბიძე, კუპრეიშვილი (ხუციშვილი 41), ბაირამაშვილი, კილასონია; (1-8) ქორიძე, დონაძე, ალადაშვილი, მელქაძე (მასხარაშვილი 45), კობახიძე (სურგულაძე 56), გუნიავა, დათუნაშვილი, დარასელია - *2ლ (კავთიძე, ნიკლაური) გ,2ს (ბაირამაშვილი)*

მსაჯი: მ. ჩაჩუა

გუშინ ვაკეში საქართველოს თასის მეორე ეტაპის მორიგი შეხვედრა გაიმართა. "ყოჩებსა" და "უნივერსიტეტს" შორის მესამე ეტაპზე გამსვლელის ვინაობა საპასუხო შეხვედრაში გაირკვევა. პირველი მატჩი კი ფორმალურმა ფავორიტმა, "ყოჩებმა" მინიმალური სხვაობით, 19:18 მოიგო. მეორე შეხვედრა კვირის თავზე გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**15 ივლისი**

18.30. ლოკომოტივი-დინამო ვაკე

## სუმო

გუშინ ნაგოიას ბაშოზე დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა **კოკაიმ** მესამე გამარჯვება მოიპოვა. ქართველმა ფალავანმა პიკიოტოშის ილეთით მე-11 მაეგაშირა **ტოკიცუუმი** დაამარცხა. ბრძოლისას კოკაიმ უკან დაიხია და წონასწორობადაკარგული იაპონელი ხელების ჩამორტყმით ძირს დაანარცხა. კოკაის კვლავ დადებითი ბალანსი აქვს - 3-2. დღეს მისი მეტოქე ახალგაზრდა **ტოჩიოძანია**, მეშვიდე მაეგაშირა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდა და დამარცხდა. ტოჩიოძანს ნაგოიაში კოკაის მსგავსად სამი მოგება აქვს მოპოვებული.

ლიდერთა შორის არაფერი შეცვლილა, ახალი იოკოძუნა **ჰაკუჰო** და სეკივაკე **კოტომიცუკი** კვლავ დაუმარცხებლები არიან. ასაშორიუს ჯერჯერობით ერთი მარცხი აქვს. ოსმა **როჰომ** ვერ შეძლო ბაშოს გაგრძელება წელის ტკივილის გამო, არადა სამი დღის შემდეგ ის დაუმარცხებელი იყო.

ძალიან კარგად ასპარეზობს 19 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რომელიც რანგით მესამე მაკუშიტას დივიზიონის მე-18 ნომერია. ტოჩინოშინმა იორიკირით **ტენიჩი** დაამარცხა. სამწუხაროდ, პირველი მარცხი იგემა **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), მან ტოკიტაირიუსთან წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტოჩინოშინი: სამიდან სამი

**ნაგოიას ბაშო**
**(ივლისის სუპერტურნირი)**
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

V დღე: კოკაი-ტოკიცუუმი 1:0, ასაშორიუ-ტაკეკაძე 1:0, ჰაკუჰო-ასასეკირიუ 1:0, ჩიოტაიკაი-ვაკანოსატო 1:0, კოტოოშუ-ტოიონოშიმა 1:0, კაიო-ამა 1:0, კოტომიცუკი-ტოკიტენკუ 1:0, ამინიშიკი-დეჯიმა 1:0, კოტოშოგიკუ-ტაკამისაკარი 1:0, მიაბიამა-ფუტენო 1:0, ტამანოშიმა-ტოჩიოძანი 1:0, ჰომაშო-კაკურიუ 1:0, კისენოსატო-ტოჩინონადა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 5-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე); 4-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), კაიო (ოძეკი), ჰომაშო (მაეგაშირა 6), ტოიოჰიბიკი (მ 14); 3-2: 12 რიკიში, მათ შორის კოკაი (მ 9).

VI დღე: კოკაი-ტოჩიოძანი, ჰაკუჰო-ტაკამისაკარი, ასაშორიუ-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-ვაკანოსატო, კაიო-ტაკეკაძე, ჩიოტაიკაი-დეჯიმა, კოტომიცუკი-ამა, ტოკიტენკუ-ამინიშიკი, ასასეკირიუ-ტამანოშიმა, კოტოშოგიკუ-მიაბიამა, კისენოსატო-კაკურიუ, ჰომაშო-რიუო, კასუგაო-ფუტენო.

## კრივი

# ღვამიჩავა თუ კუპატაძე?



კოტე კუპატაძე და ლევან ღვამიჩავა. ამჟამად პირველი ნომერი ღვამიჩავაა

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუშინ ბელორუსის დედაქალაქში, საერთაშორისო ტურნირში ჩაერთო. ჩვენი მოკრივეები მინსკში 1 ივლისს უნდა ჩასულიყვნენ და ტურნირამდე ერთობლივი შეკრება გაევლოთ რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, თუმცა შეკრება ჩაშალა მინსკის ტურნირის მონაწილეთა უჩვეულო სიმრავლემ - საორგანიზაციო კომიტეტს, ერთბაშად ოცდაათამდე გუნდის განაცხადი მიუღია. შესაბამისად, ბელარუსის კრივის ფედერაციამ საკუთარ შესაძლებლობებს გადახედა და შეკრებაზე უარი თქვა.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ შოშიაშვილმა ბელორუსში ექვსკაციანი გუნდი იახლა: **ზვიად ხადური** (48 კგ), **კობა ფხაკაძე** (57), **ლევან ღვამიჩავა** (64), **გიორგი ნაკანი** (75), **დავით ნიკლაური** (81) და **ბექა ლობჟანიძე** (+91).

ამჯერად, ნაკრებს მიღმა დარჩნენ ტრავმირებული **მერაბ თურქაძე** (51) და **ვასილ ყაზიშვილი** (60), ასევე, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები - **ნიკოლოზ იზორია** (54) და **კახა ჟვანია** (69). ყველანი საკუთარ წონით კატეგორიებში გამოკვეთილი ლიდერები არიან და ნაკრების ხელმძღვანელობამ, მათ დასვენების უფლება უბოძა.

რაც შეეხება 91 კილოგრამს, წონა კვლავ ღიადაა დარჩენილი, რადგან აქ ერთადერთი მეტ-ნაკლებად ძლიერი სპორტსმენი **იაგო კილაძე** გვყავს და ისიც,უკრაინულ ტურნირზე მიღებული ნოკაუტის გამო, შემოდგომამდე ვერ შეძლებს ვარჯიშის განახლებას.

ცოტა უცნაური, მაგრამ ამ ეტაპზე, მაინც ლოგიკურია ევროპის ორგზის პრიზიორ **კონსტანტინე კუპატაძის** (64) თბილისში დატოვება. კუპატაძე პაუზის შემდეგ, ახლახან დაუბრუნდა ნაკრებს. მართალია, მას სამიოდე თვე გაუცდა და იდეალურ ფორმაში ჯერ არაა, მაგრამ იმხელა გამოცდილება აქვს, რომ მინსკში თავს ალბათ არ შეირცხვენდა და შოშიაშვილსაც მასზე დაკვირვების უფრო კარგი საშუალება ექნებოდა.

კუპატაძის თბილისში დატოვების მთავარი მიზეზი ზემოთ ნახსენები ტურნირის მონაწილეთა სიმრავლე იყო, რის გამოც, მასპინძლებმა ყველა წონით კატეგორიაში კვოტები დააწესეს. შესაბამისად, შოშიაშვილს ღვამიჩავასა და კუპატაძეს შორის არჩევანის გაკეთება მოუხდა და ამჟამად უკეთეს ფორმაში მყოფი ღვამიჩავა ამჯობინა. ამან ყველაზე დამაჯერებლად ბაქოს ტურნირებზე იჩხუბა, სადაც არც ისე ძლიერი შემადგენლობა იყო და ნაკრების თითქმის ყველა წევრმა გამოკრა მედალს ხელი, უკრაინასა და ჩეხეთში კი საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა. თუკი ღვამიჩავა შედეგს ვერც მინსკში აჩვენებს, კუპატაძის შანსები გაიზრდება. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, საქართველოს ნაკრების ყველაზე ტიტულოვან მოკრივეს, ალბათ მაინც მისცემენ რომელიმე ტურნირზე თავის გამოჩენის შანსს, ანდა სულაც საკონტროლო ორთაბრძოლას ჩაატარებინებენ ღვამიჩავასთან.

**კობა ხატისაშვილი**

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# უკანასკნელი შანსი

სერბეთის ქალაქ სომბორში მიმდინარე ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, ქართველი მოკრივეებისთვის ფრიად უიღბლოდ მიმდინარეობს. ექვსი ჩვენებურიდან რინგს ერთადერთი შემორჩა.

გუშინ, ბოლოსწინა ქართველი ჩხუბობდა. **გიორგი ხუტაშვილი** (64 კგ) მერვედფინალში დაუპირისპირდა ბულგარელ ბორისოვს და 5:18 დამარცხდა. ამრიგად, მედლის მოპოვების უკანასკნელი შანსი დღეს გვაქვს. **დავით გოგიშვილი** (81 კგ) მეოთხედფინალში ხვდება რუს იაკუშევს, რომლის დამარცხებითაც სულ მცირე, ბრინჯაოს მედალს გაინაღდებს. მართალია, რუსები კრივში მსოფლიო გრანდებად ითვლებიან, მაგრამ სომბორში მყოფი ქართული დელეგაცია იმედიანადაა. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობის თქმით, იაკუშევის ბრძოლა უნახავთ და არცთუ ისე კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია - თუ მსაჯებმა გოგიშვილი ძალიან არ დაჩაგრეს, რუსი აუცილებლად უნდა დაამარცხოს.

## მზადება კანადური ბატუტისთვის

**ბატუტზე ხტომა.** ბატუტზე მხტომელთა ეროვნული ნაკრები აგრძელებს სამზადისს ნოემბერში, კანადაში გასამართი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატისთვის. როგორც გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა** გვითხრა, გუნდი თბილისში, სანაპიროზე მდებარე ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის კომპლექსში ვარჯიშობს სისტემატურად. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატამდე დაგეგმილ შეჯიბრებებს, ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა გადაწყვეტილი, რომ შემოდგომამდე, გუნდი იასპარეზებს მსოფლიო თასის ეტაპზე, რომელიც შედგება აგვისტოს ბოლოს, სანკტ პეტერბურგში. შეგახსენებთ, რომ წლეულს, ჩვენი ბატუტისტები ამერიკისა და კანადის მსოფლიო თასის ეტაპზე გამოვიდნენ. სანკტ პეტერბურგში წასასვლელად ემზადება ოთხი სპორტსმენი: **ლუბა გოლოვინა, სოფო გულიაშვილი, თენგიზ კოშკაძე და ზურაბ ჭყონია.**

**კობა ხატისაშვილი**

## ჩახნაშვილი ბიელას დაეთხოვა

**ჩოგბურთი.** იტალიურ ბიელაში 100-ათასიანი ტურნირი საქართველოს პირველი ჩოგნისთვის დასრულებულია - გუშინ **მაკა ჩახნაშვილმა** წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალური შეხვედრა დათმო. მაკა რუს **ეკატერინა მაკაროვასთან** წყვილში პარაგვაელი **როსანა დე ლოს რიოსისა** (144) და რუმინელი **ედინა გალოვიცის** (72) წყვილთან დამარცხდა - 5:7, 6:3, 0:6. ერთეულთა მერვედფინალში მაკა ჩახნაშვილმა ფრანგ **ალიზ კორნესთან** (122) წააგო.

## მერვედფინალში ორი ქართველია

**ჩოგბურთი.** ბოსტონის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) წარმატებით დაძლია ძირითადი ბადის პირველი წრე 21 წლის **სალომე დევიძემ**, რომელმაც ძირითად ტურნირში ასპარეზობის უფლება საკვალიფიკაციო ბატალიების გადატანის შემდეგ მიიღო. სალომემ "უაილდ ქარდით" მიწვეულ ამერიკელ **ერიკა რობერტსონს** ყოველგვარი ბრძოლის გარეშე აჯობა - 6:0, 6:3. ბოსტონურ მერვედფინალში ორი ჩვენებურია, სალომე ინდონეზიელ **სენდი გუმულიას** (288) შეხვდება. **ანა ტატიშვილის** მეტოქე კი სამხრეთაფრიკელი **ნატალი გრანდინი** (201) იქნება, რომელიც ბოსტონში მეხუთე ნომრადაა განთესილი.

## ჯობავა ლიდერის წინააღმდეგ

**□ადრაკი.** ესპანურ ბენასკეში მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალზე მეშვიდე ტური გაიმართა. პირველ რიგში **ბაადურ ჯობავასა** და ესპანეთის სახელით მოთამაშე ვეტერან **ელიზბარ უბილავას** ბრძოლას გამოვყოფთ. ახალგაზრდა დიდოსტატმა გაიმარჯვა. ბაადურს 6.5 ქულა დაუგროვდა და "სუფთა" მეორე ადგილზე გავიდა. პირველი 46 წლის გერმანელი რუსი **არკადი როტშტაინია** (2515). მისი შედეგიანობა მართლაც დიდოსტატურია - 7-დან 7 ქულა! ჩვენთვის სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ მან გუშინ **ლევან ფანცულაია** დაამარცხა, მერვეში კი შავებით ბაადურ ჯობავას ხვდება. მოიგეს **თამაზ გელაშვილმა** და **ლევან არონიძემ**. თამაზმა თეთრებით რ. ბ. რამეში დაამარცხა, ლევანმა კი შავებით მარტინ გონსალესს აჯობა; ორივე ქართველს 6 ქულა გაუხდა ად მესამე-მეშვიდე ადგილებს იყოფენ. ფანცულაიას და უბილავას 5.5 ქულა დაურჩათ და 20-კაციან პელოტონში არიან. მერვე ტურში ქართული დერბი შედგება: არონიძე თეთრებით გელაშვილს შეხვდება. ფანცულაია თეთრებით ბულგარელ ვენცისლავ ინკიოვს შეუტევს.

## ქართული დუელის შანსი

**ხელბურთი.** ევროპის ხელბურთის ფედერაცია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მდებარე შტაბბინაში, 24 ივლისს ჩაატარებს თავისი სახელობის თასის გათამაშების წილისყრას. ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, წლეულს ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონი სტუ-"თელავი" და ვერცხლის პრიზიორი "თბილისი". ევროხელბურთის შეფებმა წილისყრის ბადე გამოაქვეყნეს. თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ დიდი შანსია, ქართული კლუბები ერთმანეთს გადაეყარონ.

პირველ ეტაპზე, სტუ-"თელავი" შეხვდება ამ გუნდებიდან ერთ-ერთს: კვიპროსის "სტროვოლოუს", ჰოლანდიის "ვოლენდამს", ლიტვის "ვილნიუსს", კოსოვოს "ბესა ფამილიას" და ჩერნოგორიის "ლოვჩენს" ან "სუტიესკას". და რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ჩემპიონის ერთ-ერთი სავარაუდო მეტოქეა "თბილისი".

რაც შეეხება "თბილისს", მისი სავარაუდო მეტოქეები, სტუ-ს გარდა არიან: ბულგარეთის "ლოკომოტივი", ბელგიის "ტონგერენ იუნაიტედი", ჩეხეთის "დუკლა", სლოვაკეთის "პოვაჟსკა ბისტრიცა", თურქეთის "მერსინი", ბოსნიის "ბოსნა" და ლუქსემბურგის "დუდელანჟი".

პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება 1-2 და 8-9 სექტემბერს, მიმოსვლითი სისტემით.

## თარიღი

**კახი კახიაშვილი.** დაიბადა 13.07.1969, ცხინვალი. ძალოსნობა (90, 94, 99 კგ). ბარსელონის (1992), ატლანტისა (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1995, 98, 99) და ორგზის მეორე პრიზიორი (1993, 94), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1992, 93, 95, 96), მეორე (1994) და მესამე (1998) პრიზიორი, ევროპის თანამეგობრობის სამგზის ჩემპიონი (1995, 96, 98), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1993) და მსოფლიოს სუპერთასის გათამაშების ორგზის მეორე პრიზიორი (1992, 94), სსრკ თასის მფლობელი (1991) და დსთ-ის ჩემპიონი (1992). ორჭიდში დამყარებული აქვს მსოფლიო რეკორდი: 420 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996); ატაცში - ორი მსოფლიო რეკორდი: 185,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1994) და 188 კგ (94 კგ კატეგორიაში, 1999); აკვრაში - სამი: 227,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995) და 235 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996). ორჯერ აღიარეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1992, 93). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, საბერძნეთის პრეზიდენტის და პარლამენტის 2-2 ოქროს მედლის ლაურეატი. 1994 წლიდან გამოდიოდა საბერძნეთის სახელით.

**ვანო გამხიტაშვილი.** 13,07.1973, სამთავისი, კასპი - 12.12.1999, ალაიანი, კასპი. სამბო (90 კგ). ევროპის ჩემპიონი (1999), ოთხგზის მეორე (1993, 96) და ორგზის მესამე პრიზიორი (1997, 98). მსოფლიოს თასის მფლობელი (1999). მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთგზის მეორე (1991, 95-98) და ორგზის მესამე პრიზიორი (1993, 94). ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992), მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1989). საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1994). საქართველოს სამბოს ფედერაციამ XX საუკუნის საუკეთესო ქართველ სამბისტად აღიარა. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

## კალათბურთი

### ევროპის ჩემპიონატი. U 20

12 ივლისი, ნოვა გორიცა (სლოვენია)

**საქართველო-ხორვატია 78:99**

26:24, 17:26, 18:28, 17:21

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაფრინდაშვილი | 21 | 12 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| წივწივაძე | 13 | 4 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ცეკვავა | 6 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ლაფანაშვილი | 14 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დიდია | 30 | 10 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ჭოჭუა | 29 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 2 |
| ფარლალავა | 34 | 18 | 0 | 3 | 4 | 0 | 4 |
| ჯგერენაია | 10 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| გულისაბედაშ. | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათიაშვილი | 16 | 10 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ბერიშვილი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შერმადინი | 24 | 13 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 |

| ხორვატია | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტომიჩი | 29 | 21 | 8 | 1 | 1 | 2 | 3 |
| ბლაჟიჩი | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 0 | 0 |
| დრეზგა | 38 | 17 | 5 | 2 | 0 | 0 | 1 |
| ვრკიჩი | 23 | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბუბალო | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჰანი | 17 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ფილიპოვიჩი | 17 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 3 |
| ვუკიჩევიჩი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სირიშევიცი | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| პეტკოვიჩი | 10 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 |
| ვლაიჩი | 16 | 5 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 |
| პაპაჩი | 18 | 15 | 8 | 0 | 1 | 1 | 2 |



მიხეილ ჭოჭუას შეტევა

# ხორვატიამ ბოლო ადგილი გვარგუნა

გუშინ ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მეორე ეტაპის ბოლო მატჩი გამართა. სამწუხაროდ, **დავით უსტიაშვილის** გუნდმა ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი დათმო ხორვატებთან - 78:99. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ სლავთა უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა საბოლოო, 21-ქულიან მარცხამდე იყო იმედისმომცემი პირველი მეოთხედი, რომელიც ჩვენებმა 26:24 მოიგეს. ჩვენმა გუნდმა კვლავ წააგო ფარი, არადა ცენტრში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ცენტრფორვარდი, **გიორგი შერმადინი** გვყავს, თუმცა გოლიათმა ქართველმა ხორვატებთან სულ 5 მოხსნა დააგროვა.

საქართველოს ნაკრები პირველად წინ თამაშის დაწყებიდან ერთი წუთის მერე გავიდა, როცა **ლაშა ფარლალავამ** შერმადინის პასით სამქულიანი ჩააგდო - 5:4. მეოთხედის შუაწელში გიორგი შერმადინმა კიდევ ერთხელ დაგვაწინაურა - 11:9, რასაც ისევ ხორვატთა გააქტიურება მოჰყვა. მეოთხედის დასრულებამდე სამი წუთით ადრე 5 ქულით ვაგებდით, თუმცა **გიორგი გაფრინდაშვილის**, ფარლალავას და **რეზო დიდიას** (მას ესპანელებთან მატჩში არ უთამაშია) წყალობით ჩვენებმა მეოთხედი ორი ქულის სხვაობით მოიგეს.

მეორე მეოთხედის დასაწყისში **რიჩარდ მათიაშვილმა** საჯარიმოები ჩააგდო და ნაკრები 4-ქულიანი სხვაობით დააწინაურა - 28:24. ამის შემდეგ კი გააქტიურებული **პაპაჩის** წყალობით ხორვატებმა ნელ-ნელა უპირატესობა მოიპოვეს, შესვენებაზე სლავები 7-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ - 43:50. მატჩის მეორე ნახევარში ხორვატები თანდათან ზრდიდნენ უპირატესობას, რომელმაც საბოლოოდ 21 ქულას მიაღწია. მეტოქისგან **ანტე ტომიჩი** გამოირჩა 21 ქულით, 8 მოხსნით და 2 დაფარებით.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში უკანასკნელი, მეექვსე ადგილი დაიკავა და ახლა მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში ჩაებმება. ჩვენების მორიგი მეტოქე E ჯგუფის მეხუთეადგილოსანი საფრანგეთი იქნება. მატჩი ნოვა გორიცაში ხვალ გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**F ჯგუფი**

ისრაელი-ბულგარეთი 85:69
იტალია-ესპანეთი 75:88

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 10 |
| 2. იტალია | 5 | 4 | 1 | 9 |
| 3. ისრაელი | 5 | 3 | 2 | 8 |
| 4. ხორვატია | 5 | 1 | 4 | 6 |
| 5. ბულგარეთი | 5 | 1 | 4 | 6 |
| 6. საქართველო | 5 | 1 | 4 | 6 |

# საუბრები სკიტას დენვერში დაბრუნებაზე

**ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე ჩატარებული პირველი ეფექტური მატჩის შემდეგ, როგორც დენვერული პრესა, ასევე "ნაგეტსის" წარმომადგენლები სკიტას კლუბში დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ. მათ ქართველი ფორვარდიც აჰყვა. "დენვერისა" და ცქიტიშვილის ამბებზე გაზეთი "როკი მაუნთინის" ჟურნალისტი ჯასტინ ხიმენესი მოგვითხრობს:**

"ლოს ანჯელესის "კლიპერსთან" მატჩის ბოლოს დარბაზში შეძახილი გაისმა - კეთილი იყოს შენი დაბრუნება, სკიტა! მაგრამ ცქიტიშვილი "ნაგეტსში" საბოლოოდ არ დაბრუნებულა. იგი გუნდში დროებითაა, მხოლოდ საზაფხულო ლიგაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იმ სკიტას არ ჰგავს, რომელმაც "დენვერში" 143 მატჩი ნაკლებად შთამბეჭდავად ჩაატარა. "კლიპერსთან" ბოლო წამებზე არც სროლისას დაუშვია შეცდომები (ორქულიანს ორი საჯარიმო მიამატა) და წყვილი მოხსნაც ჩაიწერა. 14 ქულა და 7 მოხსნა - ასეთია ცქიტიშვილის მონაგარი.

დარჩება თუ არა ქართველი "ნაგეტსში"? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ ძნელია. მაგრამ ერთი რამ ცხადია - საზაფხულო ლიგის განაცხადიდან მომავალი სეზონისთვის კოლორადოელთა შემადგენლობაში ერთი-ორი კალათბურთელი დარჩება. სკიტას სასარგებლოდ მწვრთნელის, **ჯორჯ კარლის** განცხადება მოქმედებს - გაისისთვის წინა ხაზის გაძლიერება გვჭირდებაო.

*"ტანმაღალი კალათბურთელი გვჭირდება. ცქიტიშვილი ჩვენს დარბაზში მონდომებით ვარჯიშობდა. ამასთან, იგი ამ ორგანიზაციის მეგობარია. ვიცი, რომ NBA-ში თამაში შეუძლია, მაგრამ შეძლებს "დენვერში" წუთების მოპოვებას? ჯერ არ ვიცით".* - ასეთი კომენტარით იფარგლება კლუბის თავკაცი ჯორჯ კარლი, რომელმაც თავის დროზე სკიტა "ნაგეტსიდან" "გოლდენ სტეიტში" გაუშვა.

ქართველი 215 სმ. სიმაღლისაა და მეფარეთა კატეგორიაში გადის, რომლებსაც ფიზიკური სიძლიერე მოეთხოვებათ. ცქიტიშვილს ამაზეც უზრუნია და ამერიკაში კუნთებმომატებული ჩამოვიდა. ახალი მეტსახელიც დაერქვა - "კუნთა სკიტა".

*"ესპანეთში რეგულარულად თამაშმა თავდაჯერება და სათამაშო პრაქტიკა შემმატა. შეტევაში შედარებით თამამად ვმოქმედებ, მაგრამ მხოლოდ სროლა როდი შემიძლია",* - ასე ახასიათებს ესპანეთიდან დაბრუნებულ ექსდენვერელს ნიკოლოზ ცქიტიშვილი. იგი იქვე დასძენს, რომ "მშობლიურ" ქალაქში დაბრუნებაზე უარს არ იტყოდა:

*"ჯერ ტრანსფერზე საუბარი នაადრევია. ჩემმა ყოფილმა კლუბმა მხოლოდ საზაფხულო ლიგისთვის დამიძახა. ვიცი, რომ "დენვერში" მოხვედრა ძნელი იქნება, რადგან გუნდში უკვე ირიცხებიან კარგი მსროლელები. თუმცა, სათანადო დახმარება მეც შემიძლია, როგორც პერიმეტრიდან, ასევე ფარქვეშ და სწრაფი თამაშისას. მოკლედ, თუ დავჭირდები, დახმარებისთვის მზად ვარ."*

"ნაგეტსის" მწვრთნელი საზაფხულო ლიგაზე, **ჯონ უელში** სკიტას გარჯით კმაყოფილია: *"ცქიტიშვილის თამაშმა გამაკვირვა. იგი გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე ევროპაში წასვლამდე იყო. თუ ასე განაგრძო, დიდ კალათბურთელად ჩამოყალიბების შანსი აქვს."*

ბოლოს "დენვერის" სნაიპერ **ლამონდ მურეის** მოვუსმინოთ: *"სკიტასნაირი კალათბურთელი ყველა გუნდს სჭირდება. იგი ყოველთვის მზადაა, წინ გაუძლვეს თანაგუნდელებს. ვიცი, რომ ნიკა გასულ სეზონში NBA-ში არ თამაშობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ევროპაშიც ბევრი უშრომია. იგი მხოლოდ პერიმეტრიდან მსროლელი ალარაა, ჩატენვაც შესანიშნავად გამოსდის, მოხსნებშიც პირველია, პასებსა და მოედნის ხედვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია..."*

**პოპულარულ დენვერულ გაზეთ "როკი მაუნთინს" არც მეორე პოპულარული გამოცემა "დენვერ პოსტი" ჩამორჩა და ცქიტიშვილის თამაშის შედარებით საფუძვლიანი გამოკვლევა გამოაქვეყნა.**

"ნიკოლოზ ცქიტიშვილი შარშან ევროპაში დაბრუნდა, მაგრამ არ დაიზარა და ლას ვეგასის საზაფხულო კემპზე სათამაშოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ საკალათბურთო ტონუსში იყოს."

*"ევროპა და ამერიკა... ეს ერთი და იგივე ნამდვილად არ არის",* - ამბობს სკიტა. იგი NBA-ში ხუთწლიანი წვალების შემდეგ ევროპაში დაბრუნდა და თამაშს უმატა. ცქიტიშვილს ხომ სწორედ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება...

*"ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იგი კვლავაც პერსპექტიული "პროექტია". სკიტა არც იტალიაში თამაშობდა საკმარისად და ამის შანსი არც ამერიკაში მიეცა. მას მატჩის მთელი სიმძიმე ჯერაც არ უგრძვნია",* - ეს ფრაზა "ფინიქსის" მწვრთნელ **მაიკ დანტონის** ეკუთვნის, რომელიც სკიტას იტალიის "ბენეტონში" წვრთნიდა და მისი დრაფტზე აყვანა "დენვერს" ურჩია. ამ თემაზე საუბარს არც თავად კალათბურთელი ერიდება: *"NBA-ში 19 წლისამ შევაბიჯე. ზურგსუკან მხოლოდ იტალიის ჩემპიონატში ჩატარებული 11 მატჩი მქონდა (მათგან 3-4 იყო კარგი). ყველა საუბრობდა ჩემს ნიჭიერებაზე, მაგრამ გამოცდილება რომ არ მქონდა, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა".*

ჩნდება რამდენიმე კითხვა: რატომ არ თქვა ქართველმა უარი NBA-ში წასვლაზე? ან, შეცდნენ თუ არა სკაუტები მისი შეფასებისას?

ამ საკითხის გარკვევაში **მაიკ დანტონი** გვეხმარება: *"რომ ვიცოდეთ - ამა თუ იმ მოქმედებას შემდეგში შეცდომად შევაფასებთ, მას ხომ არ ჩავიდენთ? სწორედ ესაა პრობლემა. ერთი შეხედვით ყველა უპირატესობას მაღალ, სწრაფ კალათბურთელს მიანიჭებს, ვიდრე დაბალს, და ნელს, მაგრამ მთავარია, მოედანზე რომელი უფრო სასარგებლოა. ოღონდ იმის თქმა არ მინდა, რომ ცქიტიშვილი სასარგებლო არ არის".*

2002 წელს ნაგეტსის" სკაუტს **ჯეფ ველტმანს** სჯეროდა, რომ სკიტა სწორედ ის იყო, ვინც გუნდს სჭირდებოდა. იგი დღესაც ამ აზრზეა. ამჟამად ქართველი ფორვარდი ამერიკაში დაბრუნების გზების ძიებაშია: *"ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს კალათბურთის თამაში ხელახლა დავიწყე. უკეთ მესმის, რას ნიშნავს საკალათბურთო მატჩი, ვიდრე ამერიკაში პირველი ჩამოსვლისას",* - აცხადებს სკიტა.

მოვუსმინოთ "დენვერის" მთავარ მწვრთნელ **ჯორჯ კარლს**: *"ცქიტიშვილის შემთხვევაში საქმე გვაქვს რწმენის დაკარგვასთან. იგი ცდილობს, ეს რწმენა დაიბრუნოს. ეს ერთი შეხედვით შეიძლება იოლი ჩანდეს, მაგრამ ასე არ არის. როცა მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელების წინაშე აღმოჩნდები, შინაგანი და მენტალური სიძლიერე გჭირდება იმისთვის, რომ თავისუფლად ითამაშო. სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობა განაპირობებს NBA-ში სტაბილურ თამაშს."*



ნიკა ცქიტიშვილი

ცქიტიშვილის შესახებ საუბარს მაიკ დანტონი განაგრძობს: *"მან მუშაობა უნდა განაგრძოს. სკიტას შესანიშნავი მონაცემები აქვს - მაღალია და ძალიან სწრაფი. მას სწორედ ამ პლუსების მოედანზე სათანადოდ გამოყენება სჭირდება, რაც მცირე დროს მოითხოვს. იმედი მაქვს, შრომის წყალობით ქართველი ადრე თუ გვიან NBA-ში დაკარგულ ადგილს დაიბრუნებს".*

**ჩვენი პუბლიკაცია ნიკოლოზ ცქიტიშვილის ფრაზით დავასრულოთ:** *"ცუდი გრძნობა მეუფლება, როცა ვხედავ, რომ NBA-ში ფეხი ვერ მოვიკიდე, მაგრამ ეს დამატებით სტიმულს მაძლევს იმისთვის, რომ მუშაობა განვაგრძო და დაკარგული ადგილი დავიბრუნო. დრაფტის მე-10 და მე-15 ნომრებიც მინახავს, რომლებსაც NBA-ში ვარსკვლავური კარიერა ჰქონიათ..."*

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# ლას ვეგასიდან სან ანტონიოსკენ

**ვიქტორ სანიკიძე "სან ანტონიომ" 2004 წლის დრაფტზე აირჩია. როგორც წესი, ახალწვეულები შესაძლებლობების საჩვენებლად საზაფხულო ლიგებზე თამაშობენ, მაგრამ ვიქტორმა 2007 წლამდე კემპზე "სპურზის" მაისურით თამაში ვერ მოახერხა. ჯერ ჭაბუკთა ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, შემდეგ ტრავმირებული იყო, 2006-ში კი ახალგაზრდებს B-დან A დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა. საზაფხულო კემპისთვის ახლაღა მოიცალა და ლას ვეგასის ლიგაში ორი მატჩი ჩაატარა. ვფიქრობთ, მკითხველს დაინტერესებს სანიკიძეს ვეგასური შთაბეჭდილებები.**

**- ვიქტორ, კემპზე ორი მატჩი გამოტოვე. რა იყო ამის მიზეზი?**

- ფეხის კუნთი მაქვს გაჭიმული. ამ სახის ტრავმას კი მხოლოდ დასვენება მკურნალობს. ამიტომაც გამოვტოვე ტურნირის გახსნითი მატჩი.

**- მეორე შეხვედრაში 8 წუთი ითამაშე. დროის სიმცირე ტრავმის ბრალი იყო?**

- მატჩის წინ მწვრთნელმა მკითხა, მოედანზე გასვლას თუ შეძლებო. ოდნავ დაჭიმული კი მქონდა, მაგრამ თამაში ძალიან მინდოდა, ვუთხარი, შევალ და შევხედავ, იქნებ აღარ შემაწუხოს-მეთქი.

**- მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა?**

- რაც შევძელი, გავაკეთე. უკმაყოფილების საბაბი არ მიმიცია, თუმცა გულდასაწყვეტია, როცა იცი, რომ მეტის გაკეთება შეგიძლია. ოღონდ ამისთვის სათამაშო დროა საჭირო.



ვიქტორ სანიკიძე

**- მეორე მატჩში მოედანზე 13 წუთი გაატარე...**

- უკეთესი სტატისტიკაც მქონდა. პირველის შემდეგ ორი დღე დავისვენე და დაჭიმულობაც ცოტა მომეხსნა.

**- "სან ანტონიოს" მატჩებს გუნდის თავკაცი გრეგ პოპოვიჩი არ ესწრება?**

- კემპი საწყის შეხვედრებს ვერ დაესწრო, რადგან ტონი პარკერისა და ევა ლონგორიას ქორწილში იყო. თუმცა ყოველი მატჩისას დარბაზი სავსეა სკაუტებით. აქ არიან როგორც NBA-ს კლუბების წარმომადგენლები, ასევე ევროგრანდების დამკვირვებლები. სათანადოდ თუ ითამაშებ, უყურადღებოდ არ დარჩები.

**- როგორ ფიქრობ, არის თუ არა იმის შანსი, რომ ამ კემპის მერე "სან ანტონიოში" აღმოჩნდე?**

- მუხლების ოპერაციის შემდეგ "სპურზის" კემპზე არ ვყოფილვარ. წლევანდელი ლას ვეგასის ლიგა "სან ანტონიოსკენ" გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება. ოღონდ რამდენად თამამი, ამას უშუალოდ მატჩები გვიჩვენებს. მთავარია, ფეხმა მომცეს თამაშის საშუალება.

**- შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კემპზე ძლიერი გუნდი არ უნდა გყავდეთ...**

- საზაფხულო ლიგისთვის კლუბები სახელდახელოდ იკრიბება. "სან ანტონიოც" ლას ვეგასში გამგზავრებამდე ორი დღით ადრე შეიკრა. ამიტომ გუნდურ და დალაგებულ თამაშს არავინ ითხოვს. აქ მთავარი აქცენტი კალათბურთელთა ინდივიდუალიზმზე კეთდება.

**- ლას ვეგასიდან თბილისში როდის დაბრუნდები?**

- საზაფხულო კემპი 15 ივლისს სრულდება. აქედან მეორე დღეს საქართველოში ვაპირებ გამოფრენას. ასე რომ, ეროვნული ნაკრების შეკრებაზე, წესითა და რიგით, დროულად უნდა გამოვცხადდე.

***გუშინ ვიქტორ სანიკიძემ საზაფხულო ლიგაში მესამე მატჩი ჩაატარა, 8 წუთი ითამაშა და თავი ვერაფრით გამოიჩინა: 1 ორქულიანი ააცილა და თითო მოხსნა-შეცდომა-ფოლი ჩაიწერა. "სან ანტონიომ" კი "მინესოტასთან" 68:79 დათმო.***

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი

# პირველი სამთო მოთელვა



პოცატომ ფრეირეს ფინიშზე ბოლო ბიძგით აჯობა

სერიოზულ სამთო ეტაპებამდე ჯერ ადრეა, თუმცა გუშინ, ტურის მონაწილეებს მოსათელად და ძალების მოსასინჯად, საშუალო დონის სამთო ეტაპი ჰქონდათ, რომელზეც მეორე კატეგორიის ერთი მონაკვეთი იყო გასავლელი.

პირველივე მოთელვაზე სერიოზულ ინციდენტში მოხვდა ტურის უმთავრესი ფავორიტი, ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვი**, ვისაც ფინიშამდე 25 კილომეტრით ადრე ინციდენტი შეემთხვა და ამის გამო, რბოლის გამარჯვებულთან შედარებით, ფინიშს წუთისა და 20 წამის დაგვიანებით მიაღწია.

გამარჯვება კი იტალიელმა **ფილიპო პოცატომ** მოიპოვა, რომელმაც ფინიშზე რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ესპანელ **ოსკარ ფრეირეს**. გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ყვითელი მაისურა შეინარჩუნა შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ**, ვინც ეტაპი ძირითად ჯგუფთან ერთად დაასრულა. *"ჩვენს მიერ ლიდერის პოზიციის შენარჩუნება "ლიკიგაზის" აქტიურობის წყალობით მოხდა"*, - განაცხადა ნარბოლევს კანჩელარამ.

ვინოკუროვის დასახმარებლად, პელოტონს "ასტანას" ექვსი ნევრი ჩამორჩა, მაგრამ მათი ტემპი საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ ვინოს დაკარგული დრო აენაზღაურებინა. ამიტომ, მან ფეხს აუჩქარა და თანაგუნდელებიც უკან მოიტოვა. და მაინც, გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ის ლიდერს ორი წუთითა და ათი წამით გერმანელ თანაგუნდელ **ანდრეას კლოდენს** კი წუთითა და 53 წამით ჩამორჩება.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, საუკეთესო სამთო მრბოლის ბურთულებიანი მაისურა ფრანგმა **სილვენ შავანელმა** მოირგო, საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა კი ბელგიელ **ტომ ბოონენს** გერმანელმა **ერიკ ცაბელმა** ჩამოართვა.

მეხუთე ეტაპი. შაბლიდან ოტუნამდე (182.5 კმ)

1. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკიგაზი) 4:39.01 (39.67 კმ/სთ); 2. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) იგივე დროში; 3. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 4. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი); 5. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 6. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი); 7. კრისტიან მორენი (იტალია, კოფიდისი); 8. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 9. ბრამ ტანკინკი (ჰოლანდია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 10. ჟერომ პინო (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია ხუთი ეტაპის შემდეგ

1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 28.56; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.33; 3. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკიგაზი) 0.35; 4. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალი) 0.41; 5. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.43; 6. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.45; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.46; 8. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკატი) 0.49; 9. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.51; 10. ბენუა ფოგრენარი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.52...

## TV სპორტი

**13 ივლისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მონაკო.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. უოგანი-ჩელსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. დეპორტივო-იუვენტუსი. I მატჩი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი.
22:00 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ინტერი.
23:50 რუსეთის ჩემპიონატი.
00:50 ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
01:50 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დეტროიტი-კალგარი.
08:55 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
09:18 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
11:30 მინი-მოედანი.
11:55 აფროსნობა. ამერიკის თასი.
12:23 სპორტდოსიე.
12:52 სპორტული ისტორია
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბასტადი. შვედეთი (LIVE).
16:18 სპორტლუბი.
16:41 სპორტული ისტორია
16:46 მინი-მოედანი.
17:12 პლაჟის ფეხბურთი.
18:15 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეკრეატივო.
20:04 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:31 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი.
22:10 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დინამო-ჩიკაგო.
23:54 კრივი. რინგ-საიდი.
00:51 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი.
03:26 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
05:11 პლაჟის ფეხბურთი.
06:13 აფროსნობა. ამერიკის თასი.
06:40 სპორტდოსიე.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
11:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
12:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალური ეტაპი. პოლონეთი.
13:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
14:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი (LIVE).
14:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი (LIVE).
16:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი (LIVE).
19:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/4 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/4 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლატვიის გრან-პრი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
01:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალური ეტაპი. ბრაზილია-რუსეთი. პოლონეთი.
02:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
14:00 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-საფრანგეთი. სერბეთი (LIVE).
17:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).
21:15 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. დანონის თასი. ლიონი. საფრანგეთი.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-ჩინეთი. სერბეთი (LIVE).
00:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
01:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იტალია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
02:30 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:00 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
04:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **აზიის თასი** | |
| ომანი-ტაილანდი | 0:2 |
| კატარი-ვიეტნამი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-აიკ | 2:0 |
| **ფინეთის თასი** | |
| ივპო-ტამპერე | 1:4 |
| ოულუ-პაკა | 2:0 |
| კოკოლა-სიტი სტარსი | 1:0 |
| პიკ-სოვო | 8:1 |
| ინტერი-პიფკ | 2:0 |
| იუვიასკიულა-მიუპა | დ.დ. 2:0 |
| პპ7-ლაპპი | 1:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სეონგამი-ბოლტონი | 1:1 |
| ჩივასი-რასინგი | 5:0 |
| ბორუსია (დ)-ანდერლეხტი | 2:1 |
| კამბური-ფალკირკი | 0:1 |
| კილი-პანზა | 2:4 |
| ქსამაქსი-ლანსი | 0:1 |
| დინამო (ზ)-ვოლფსბურგი | 2:1 |
| სტ. პატრიკსი-ბოტენავეში | 0:1 |
| გალათასარაი-იანგ ბოიზი | 3:1 |
| სტიაუა-ბელზატოვი | 2:2 |
| დინამო (ბუქ)-მოზერველი | 3:1 |
| ლუცერნი-ვილი | 4:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბასტადი** | |
| მონაკო-სიმონი | 4:6, 4:6 |
| ფერერი-მაუ | 6:3, 3:6, 6:3 |
| მოია-ტ. იოჰანსონი | 6:2, 6:3 |
| სიოდერლინგი-ვერდასკო | 6:3, 5:7, 7:6 |
| **ATP. გშტაადი** | |
| სეპი-კუბეკი | 1:6, 7:6, 7:6 |
| ლაპენტი-ვასალო არგელო | 4:6, 6:3, 4:6 |
| მატიო-ფ. ლოპესი | 4:6, 6:4, 7:6 |
| ანდრეევი-სტარაჩე | 6:3, 7:5 |
| მონფილსი-ვანეკი | 6:1, 6:4 |
| გასკე-ვლიეგენი | 6:3, 6:4 |
| **ATP. ნიუპორტი** | |
| მაიუ-დუპუი | 6:3, 6:7, 6:1 |
| უდომჩოკე-ზვერევი | 6:2, 5:7, 6:7 |

ჰოკეი

### რეინჯერსმა ოლიმპიური ჩემპიონი შეინარჩუნა

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი ძირითად გოლკიპერთან, ჰენრიკ ლუნდკვისტთან. ეს უკანასკნელი ამ თვის დასაწყისში თავისუფალი აგენტი გახდა.

შვედი ოლიმპიური ჩემპიონის ჯამაგირი საგრძნობლად გაიზარდა. თუ გასულ სეზონში ლუნდკვისტმა 817 ათასი დოლარი გამოიმუშავა, გაისად ის 4.25 მილიონ დოლარს მიიღებს.

### ვიშნიოვსკი კინგზის ერთგულია

"ლოს ანჯელეს კინგზის" ჩეხმა მცველმა ლუბომირ ვიშნიოვსკიმ NHL-ის კლუბების ყველა წინადადება უარყო და თავისი ამჟამინდელი გუნდის ერთგული დარჩა.

ჩეხი ჰოკეისტი, რომელსაც მთელი კარიერა ერთ კლუბში აქვს გატარებული, "მეფეების" რიგებში კიდევ 5 წელიწადი ითამაშებს.

ვიშნიოვსკი ოკეანის გაღმა სათამაშოდ ექვსი წლის წინათ გადავიდა, ამ დროის განმავლობაში 417 მატჩი ჩაატარა, 61 გოლი გაიტანა და 176 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

### ფიოდოროვი რედ უინგზს უბრუნდება?

საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს Everything Michigan. თუ ამ გამოცემის ცნობას დავეყრდნობით, მაშინ ამ ზაფხულს, "დეტროიტ რედ უინგზში" უნდა დაბრუნდეს ვეტერანი რუსი ფორვარდი **სერგეი ფიოდროვი**. ამ ტრანსფერის ინიციატორი "დეტროიტის" გენერალური მენეჯერი **კენ ჰოლანდი** გახლავთ. შეგახსენებთ, რომ 37 წლის ფორვარდი დიდი ხანი თამაშობდა "რედ უინგზში" და ამ კლუბთან ერთად ორჯერ მოიპოვა სტენლის თასი.

### გრეცკის აზარტული ცოლი ჰყავს

ლეგენდარული უეინ გრეცკის მეუღლე **ჯანეტ ჯონსი** და "ფინიქს კოიოტზის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რიკ ტოკეტი** პოკერის მსოფლიო ჩემპიონატში იღებდნენ მონაწილეობას.

ტოკეტმა პირველი რაუნდის გავლა შეძლო, სადაც მაქსიმალური დასაშვები ფსონი 10 ათას დოლარს უტოლდებოდა. რაც შეეხება ჯონსს, მას ნაკლებად გაუმართლა და ჩემპიონატის პირველივე დღეს გამოეთიშა ბრძოლას.

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. შპიონაჟი

# მაკლარენს ფედერაციაში იბარებენ

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (ფია - ფედერასიონ ინტერნასიონალ აუტომობილ) ბრალს სდებს ინგლისურ გუნდ "მაკლარენს" იტალიური "ფერარის" ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის არალეგალურ გამოყენებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, გაიმართება საქმის მოსმენა, რომელზეც "მაკლარენი" ვალდებული იქნება, თავისი არგუმენტირებული ახსნა-განმარტება წარადგინოს და მისი მეშვეობით დაამტკიცოს, რომ არ დაურღვევია საერთაშორისო სპორტული კოდექსის 151c მუხლი.

*"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მარტიდან ივლისის ჩათვლით, "მაკლარენი" არალეგალურად ფლობდა და იყენებდა იმ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც "სკუდერია ფერარის" კუთვნილებაა. ეს ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს, რომლებიც შესაძლებელია, გამოიყენებოდა "ფერარის" ავტომობილის შემუშავების, კონსტრუირებისა და ტესტირების პროცესში"*, - ნათქვამია ფია-ს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ "ფერარი" ბრალს სდებს "მაკლარენის" მთავარ კონსტრუქტორ **მაიკ კოფლენს** იმაში, რომ ის იტალიური საჯინიბოს ყოფილი მთავარი ინჟინრის, **ნაიჯელ სტეპნისგან** "ფერარის" ახალი ბოლიდის შესახებ საიდუმლო ინფორმციას ღებულობდა.

გამოძიებამ კოფლენის საშინაო კომპიუტერის მყარ დისკზე "ფერარის" ახალი ბოლიდის შესახებ დაწვრილებითი ტექნიკური ინფორმაცია აღმოაჩინა. ეს ამბავი რომ გახმაურდა, "მაკლარენმა" კონსტრუქტორი მაშინვე დაითხოვა თავისი რიგებიდან და გამოაცხადა, რომ კოფლენის კომპიუტერში არსებული არალეგალური ინფორმაცია არ გამოუყენებია თავისი ბოლიდის კონსტრუირებისას.



ნაიჯელ სტეპნი

პარალელურად, "ფერარიმ" იტალიის სასამართლოში სარჩელი შეიტანა სტეპნის წინაალმდეგ. მას ბრალი ედება იტალიური საჯინიბოს ტექნიკური ინფორმაციის სხვა გუნდისთვის არალეგალურად გადაცემაში. კულუარული ინფორმაციით, "ფერარიმ" კოფლენი და მისი მეუღლე იტალიის სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე დაითანხმა.

აღსანიშნავია, რომ სტეპნი და კოფლენი ერთ დროს ერთად მუშაობდნენ ჯერ "ბენეტონში", შემდეგ კი "ფერარიში". ერთი კვირის წინათ კი ორივე ერთად შეხვედრია "ჰონდას" შეფ **ნიკ ფრაის** რომელთანაც იაპონურ გუნდში თავიანთი შესაძლო გადასვლის თაობაზე ესაუბრნენ.

ჯერჯერობით, უცნობია, თუ რა სახის სანქციები ელის "მაკლარენს" იმ შემთხვევაში, თუ მას იტალიური გუნდის ტექნიკური ინფორმაციის გამოყენება დაუმტკიცდება. ინგლისური საჯინიბოს შეფი **რონ დენისი** მზადაა, გამოძიებას თავისი გუნდის ბოლიდის შესახებ საიდუმლო ინფორმაცია გაანდოს, თუკი ამას გამოძიება საჭიროდ მიიჩნევს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჩოგბურთი

ტურნირები

**შვეიცარიის ღია**

გშტაადი (შვეიცარია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 421 250 ევრო

**I წრე**

გაელ მონფილსი (საფ)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 3:6, 6:4, 7:5; შტეფან კუბეკი (ავსტრია)-მიხაილ იუჟნი (რუს, 2) 6:4, 6:3; რიშარ გასკე (საფ, 3)-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:3, 6:4; მარტინ ვასალო არგელო (არგ)-სტანისლას ვავრინკა (შვეიდ, 7) 7:5, 1:6, 6:4; იგორ ანდრეევი (რუს)-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 3:6, 6:3, 6:4; ირჟი ვანეკი (ჩეხ)-ფლორან სერა (საფ) 6:4, 6:1; ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)-ხოსე აკასუსო (არგ) 7:5, 6:1; ანდრეას სეპი (იტა)-ბარტოლომე სალვა ვიდალი (ესპ) 6:4, 6:0.

**II წრე**

მარკ ჟიკელი (საფ, 6)-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:2, 7:6(4); რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 4) 7:5, 6:3.

**შვედეთის ღია**

ბასტადი (შვედეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

**II წრე**

ოლივიე როხუსი (ბელ)-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:4, 7:5; ფილიპო ვოლანდრი (იტა, 5)-იური შჩუკინი (რუს) 4:6, 6:3, 6:3; ნიკოლას ალმაგრო (ესპ)-იონას ბიორკმანი (შვედ, 8) 6:4, 6:2; ლუის ორნა (პერუ)-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:3, 7:6(5).

**Campbell's Hall of Fame**

ნიუპორტი (აშშ). ბალახი
საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი

**I წრე**

ფაბრის სანტორო (საფ, 4)-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:4, 6:1.

**II წრე**

უესლი მუდი (ს. აფრ)-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:4, 4:6, 6:2; აისამ-ულ-ჰაქ ქურეში (პაკ)-ნათან ჰილი (ავსტრა) 7:6(2), 5:7, 6:4; ვინსენტ სპეიდი (აშშ, 2)-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:3, 7:5; დიკ ნორმანი (ბელ)-მიხაელ ბერერი (გერ, 8) 6:2, 6:7(4), 7:6(6).

კალათბურთი

## მეჯიქმა ჰოვარდი და ლუისი გაიფორმა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა. პირველი, რაც "ორლანდო მეჯიქმა" გააკეთა, იყო ის, რომ კონტრაქტი გაუგრძელა თავის ლიდერს **დუაიტ ჰოვარდს**. ახალი ხელშეკრულება ხუთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს და ამ დროის განმავლობაში, "მეჯიქის" ფორვარდ-ცენტრი 85 მილიონ დოლარს მიიღებს.

აქვე შეგახსენებთ იმას, რომ ორლანდოელებმა "სიეტლიდან" **რაშარდ ლუისი** დაიმატეს. როგორც ვარაუდობდნენ, ამ კალათბურთელთან 6-წლიანი და 110-მილიონიანი კონტრაქტი გაფორმდა.

## ჰილი ფინიქსელი გახდა

ამასობაში, "ორლანდომ" "ფინიქს სანზში" გაუშვა "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შვიდგზის მონაწილე **გრანტ ჰილი**. ამ ტრანსფერის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, გუშინ კი, გრანტსა და "სანზს" შორის კონტრაქტი ოფიციალურად გაფორმდა.

ვეტერანი კალათბურთელი ორწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ 3.9 მილიონ დოლარს მიიღებს.

ჰილმა "ორლანდოში" შვიდწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში 93 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

## ტორონტომ კაპონო აიყვანა

ორი კალათბურთელი დაიმატა "ტორონტო რეპტორზმა". როგორც იცით, თავისუფალმა აგენტმა **ჯეისონ კაპონომ** "მაიამი ჰიტთან" კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა და ახლა, "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდზე სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული კანადურ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

ტელეკომპანია ESPN იმასაც იტყობინება, რომ "რეპტორზის" შემადგენლობაში ჩაირიცხა თელ ავივის "მაკაბის" კალათბურთელი **მასეო ბასტონი**. ეს უკანასკნელი "ტორონტოში ორ სეზონს გაატარებს და 3.8 მილიონ დოლარს მიიღებს.

## შარლოტმა უოლასი არ გაუშვა

არ დადასტურდა ჭორი იმის შესახებ, თითქოს "შარლოტ ბობკეტსის" ლიდერ **ჯერალდ უოლასს** სხვა კლუბში სურდა თამაშის გაგრძელება.

Charlotte Observer-ის ცნობით, კლუბმა და კალათბურთელმა ყველა საკითხი გაარკვიეს და მათ შორის ახალი, ექვსწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. მომავალი ექვსი სეზონის განმავლობაში, უოლასის საბანკო ანგარიში 57 მილიონი დოლარით შეივსება.

## უმცროს გასოლს NBA-ში არ ეჩქარება

ესპანეთის ნაკრების ფორვარდი **მარკ გასოლი** თავისი სახელოვანი ძმის, **პაუ გასოლის** ნაკვალევზე სიარულს არ ჩქარობს. უმცროსი გასოლი წლეულს, დრაფტის 48-ე ნომრად "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" აირჩია, თუმცა, მარკმა გადაწყვიტა, კიდევ ერთი წელიწადი ითამაშოს ესპანეთში. 22 წლის კალათბურთელი ახალ სეზონსაც "ხირონაში" გაატარებს.

*"ვფიქრობ, ეს საუკეთესო ვარიანტია. "ხირონა" ძალიან კარგი გუნდია და დიდი ამბიციებიც გააჩნია. ამ სეზონში სერიოზულად ვიმუშავებ და NBA-ში გადასვლაზე მერე ვიზრუნებ"*, - აცხადებს მარკ გასოლი.

## პაპალუკასი ამერიკაში არ მიდის

როგორც ჩანს, არ შედგება NBA-ში ბერძენი **ტეო პაპალუკასის** კარიერა. სავარაუდოდ, საბერძნეთის ნაკრების მცველი თავის ამჟამინდელ კლუბში, მოსკოვის ცსკა-ში გააგრძელებს თამაშს.

FIBA-ს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, რუსებმა პაპალუკასს სამწლიანი კონტრაქტი და წლიური 3 მილიონი ევრო შესთავაზეს.

30 წლის ტეოს NBA-ში თამაში კი სურდა, მაგრამ იქაური კლუბებისგან სერიოზული წინადადებები არ მიუღია. *"სხვადასხვა კლუბების მხრიდან დაინტერესება იყო, მაგრამ არცერთისგან არ მიმიღია ოფიციალური მიწვევა. მხოლოდ ორი გუნდი ცდილობდა ჩემს დათანხმებას, მაგრამ ეს არ იყო იმ დონის კლუბები, სადაც გადასვლა მინდოდა. ალბათ, ცსკა-ში დავრჩები. ჯერ არანაირი დოკუმენტისთვის ხელი არ მომიწერია, მაგრამ ეს მალე მოხდება"*, - ამბობს შარშანდელი ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელი.

## პლასა წლის მწვრთნელი გახდა

ესპანეთში წლის საუკეთესო მწვრთნელი გამოავლინეს. ეს საპატიო ტიტული წილად ხვდა მადრიდის "რეალის" დამრიგებელს, **ხოან პლასას**.

ესპანეთის საკალათბურთო მწვრთნელთა ასოციაციის გამოკითხვამ აჩვენა, რომ პლასამ, რომელმაც მადრიდულ კლუბს ქვეყნის ჩემპიონატი და ULEB-ის თასი მოაგებინა, 552 ქულა მიიღო და 48 პუნქტით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ **აიტო გარსია რენესესს**, რომელიც "ხუვენტუდის" დამრიგებელია.

## დუენასი თამაშს ამთავრებს

ესპანეთის ნაკრების ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი **რობერტო დუენასი** უახლოეს დღეებში კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

ესპანეთის ყველაზე ტანმაღალი (219 სმ) კალათბურთელის ეს გადაწყვეტილება ქრონიკული ტრავმებით არის გამოწვეული. ამ მიზეზით დუენასს "ხირონაში" მთელი შარშანდელი სეზონი თითქმის არ უთამაშია .

ჩოგბურთი

## ამერიკამ ჰონორარები გაზარდა

დიდი სლემის რიგით მეოთხე ჩემპიონატის - აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ წლეულს ამ ტურნირზე სარეკორდო საპრიზო ფონდი იქნება. კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა შორის გამარჯვებულები, თითოზე 1.4 მილიონ დოლარს მიიღებენ, მთელი ჰონორარი კი, პირველად გადააჭარბებს 19 მილიონ დოლარს.

შედარებისთვის, შარშან ჩემპიონებს 1.2 მილიონი დოლარი ერგოთ.

ჰოკეი

## 29 სექტემბერს, ლონდონში

ჰოკეის ეროვნული ლიგის 90-ე რეგულარული სეზონი ლონდონში აიღებს სტარტს - ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა NHL-ის ხელმძღვანელობამ.

ჩემპიონატის პირველ მატჩში, სტენლის თასის მფლობელი "ანაჰაიმ დაქსი" "ლოს ანჯელეს კინგზსს" შეხვდება. ეს შეხვედრა 29 სექტემბერს არის დანიშნული. მეორე დღეს, ეს გუნდებს კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

ასევე ოფიციალურად დადგინდა, რომ ფლეი ოფი გაისად 9 აპრილს დაიწყება. სტენლის თასის მფლობელი კი, 9 ივნისს გახდება ცნობილი.





მარკო ბელინელი

NBA. ახალი ვარსკვლავი

# რა ოდენი, რის დიურანი... ბელინელი!

დრაფტის შემდეგ ამერიკული საკალათბურთო ამბები თითქმის მთლიანად **გრეგ ოდენსა** და **კევინ დიურანს** უკავშირდება. ჯერჯერობით, ვერცერთმა ვერ გააოგნა თავისი თამაშით საზაფხულო შეკრებაზე მყოფი სპეციალისტები, თუმცა იანკები თავს იმშვიდებენ - თავის დროზე, რეგულარულის წინ ვერც **პატრიკ იუინგმა** და **ტიმ დანკანმა** გამოიჩინეს თავი და მოკლედ, ყველაფერი მშვენივრად აეწყობაო.

მერე და მერე, ჩვენს ამერიკელ კოლეგებს "ჰოქსის" ახალბედა **ელ ჰორფორდიც** გაახსენდათ, მოგვიანებით **ჯერალდ გრინის** ნიჭსა და პოტენციალსაც შეეხნენ, სულ ბოლოს კი დაიწყო სჯა-ბაასი იმის შესახებ, ითამაშებს თუ არა "ბაქსში" ჩინელი ახალბედა **იი ცზიანლიანი**.

მაგრამ არავის გახსენებია (თუნდაც პირველი, ბრწყინვალედ ჩატარებული ტესტ-მატჩის მერე) "გოლდენ სტეიტის" იტალიელი მსროლელი **მარკო ბელინელი**, ვისაც განსაკუთრებული რეკლამა არ დასჭირვებია და მის ირგვლივ არც დიდი აჟიოტაჟი ამტყდარა. აპენინელი კი მოედანზე გადის და თავის საქმეს აკეთებს.

იტალიელმა პირველივე შეხვედრაში 37 ქულა დააგროვა და 7 სამქულიანიდან 5 გამოიყენა, რის მერეც, მომდევნო ორ მატჩში გუნდის ყულაბა 23 და 15 ქულით შეავსო.

*"ძალიან სწრაფია და ისეთ არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ ვინმესთან პარალელის გავლებაც კი მიჭირს. მას აქვს არაჩვეულებრივი კოორდინაცია და იმდენად უკომპლექსოა, რომ ბოლო წუთებზე გადამწყვეტ სროლას სწორედ მარკოს მივანდობდი"*, - ამბობს "უორიორზის" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი**.

ხომ გესმით, რადგან უჟმური, პრეტენზიული და პროფესიულ კალათბურთში ყველაფრის მნახველი დონი ახალბედას ასე ახასიათებს, ესე იგი, ამ ბიჭში მართლაც რაღაც არაჩვეულებრივი ბუდობს.

ნელსონის თქმით, იტალიელმა პირველივე ვარჯიშზე პირღია დატოვა მისი ასისტენტები და მასმედიის წარმომადგენლები, როდესაც 20 სამქულაინიდან 19 ჩააგდო, მერე კი წინალობების დაძლევისას, მეორე ადგილზე გასულ **მონტა ელისს** მთელი 2 (!) წამით გაუსწრო.

67 წლის ნელსონი, რომელიც გუნდის ბოსებისგან წლიური ხელფასის 3.1 მილიონიდან ხუთამდე გაზრდას ითხოვს, მარკოს არგენტინელ **მანუ ჯინობილის** ადარებს.

*"მანუმდე მას ბევრი უკლია, თუმცა თამაშის სტილიდან გამომდინარე, მათში დიდ მსგავსებას ვხედავ. ბელინელის მანუზე დახვეწილი საშუალო სროლა აქვს და მოედანსაც არგენტინელივით დიდებულად ხედავს"*, - ესეც დონის სიტყვებია.

მეორე შეხვედრაში ბელინელის "ფილადელფიასთან" 23 ქულის გასაკეთებლად თამაშიდან 23 ტყორცნა დასჭირდა, თუმცა ნელსონი ამაში კატასტროფას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ ეს პირიქით, მარკოს ბრძოლისუნარიანობას უსვამს ხაზს.

*"მან პირველი ოთხი თუ ხუთი სროლა გააფუჭა, მაგრამ წამითაც არ შეპარვია ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტყორცნებისას ჩემსკენ არც კი გამოუხედავს. ბელინელის სახით მომავალი ვარსკვლავი დავიმატეთ და იმედი მაქვს, რომ მას "გოლდენ სტეიტის" ვეტერანებთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდება"*, - ასრულებს საუბარს ნელსონი.

ექნება თუ არა მარკოს სასტარტო ხუთეულში ადგილის დამკვიდრების რეალური შანსი?

წესით, იტალიელს, სადღაც სეზონის შუა ნაწილისთვის, ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს. მისი ერთადერთი კონკურენტი ამ ადგილზე, ისევ და ისევ, მონტა ელისია, ხოლო მსროლელის პოზიციაზე დაბერებული **ჯეისონ რიჩარდსონი** კი, გუნდმა გაცვლის შედეგად "შარლოტში" გაუშვა.

21 წლის ბელინელის კომუნიკაციის მხრივაც არანაირი პრობლემა არ უნდა შეექმნას. იტალიელი მშვენივრად ფლობს ინგლისურ ენას და მისივე თქმით, უკვე დაიწყო გერმანულის ათვისებაც.

*"ანდრეამ (ბარნიანიმ) მირჩია - თუ შენი ადგილის დამკვიდრება გსურს, მოედანს მიღმაც გამორჩეული უნდა იყოო. ჩემი აზრით, აშკარად გამიმართლა, რადგან მოვხვდი გუნდში, სადაც აქცენტი შემტევ კალათბურთზე კეთდება. თავისთავად, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცვაზე არ ვიმუშავებ. "სან ანტონიოს" მაგალითმა დაგვანახა, რომ თუნდაც ყველაზე ძლიერ შეტევას საიმედო და სწორად დაყენებული დაცვა მაინც გააჩერებს"*, - მიაჩნია "გოლდენ სტეიტის" ახალწვეულს.

ბელინელიმ სახელი ევროპაში დამაჯერებელი გამოსვლით გაითქვა, თუმცა მის მიერ ევროპაში საკლუბო დონეზე და იტალიის ნაკრებში ნაჩვენები შედეგი ოკეანისგაღმეთში რომ არაფერს ნიშნავს, ეს თავად მარკომაც მშვენივრად იცის.

*"ევროპაში ბევრ ვარსკვლავს უთამაშია და ისინი ამერიკაში მალევე ჩამქრალან. საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ ჩემი ახალი გუნდისთვის, საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვისა და ჩემი იტალიისთვის ბევრი კარგის გაკეთება შემიძლია. ამერიკაში ტურისტად არ ჩამოვსულვარ"*, - განაცხადა აპენინელმა.

ოდენი ერთ მატჩში საშუალოდ 9 ჯარიმას იღებს, კევინ დიურანმა ორ მატჩში თითქმის 25 სროლა გააფუჭა, ბელინელი კი სტაბილურად იმკის ქულებს და კიდევ გვარწმუნებს, რომ მისი სახით NBA-მ კიდევ ერთი მარგალიტი შეიძინა.

**ზურაბ თალაკვაძე**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა

ეროვნული ბიბლიოთეკა